


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, ტოტოტიც ბეჭდუდი სიფყვას, ცყუილებით და ჭბბბბით ბუბბის გაცანა ცუულა უჯადბბბბბბაგ უსაბაგლუსია.

დაარსებულია 1918 წელს.  
სამშაბათი, 18 მარტი, 2014 წელი.  
№53 (7434)

# რუსკულუკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## რა მოხდება უკრაინის შედეგ უკრაინაში?

3

### 4 მასამ მსოფლიო ომის დაწყება არაპირ ინტერესებში არ შედის

ჩვენი თანა ბეღნიერი ბანა არის სადგე მერი?

### პირთხების ბასაიდუფლოეზული რბოლა...

5

მრეკლე კოდუას პროკურატურამ ბრალი 2 წარუდგინა



თასების სვენა პაკეუი 10

### დღის ამ ურბუხრიდან

## ხალხი მიდის და მილაპარაკობს...

### ბიძია თემურის ზღაპრები...

- ეგ თემურ ალასანია, ძმაო, მგონი, დანიელ ანდერსენსაც აჯობებდა და გერმანულ გრიმებსაც, ზღაპრების წერა რომ დაეწყო...
- ბარაქლა ნინო შუბლაძეს, რომ მართლაც კარგი მეზღაპრე გაგვაცნო.
- ეტყობა, თავის საყვარელ დისწულს ბავშვობაში მოსკოვიდან ტელეფონით უყვებოდა ამერიკულ ზღაპრებს, ჩვენ კი ახლა უკვე ამერიკიდან გვიამბო ახალი ჯადოსნური ზღაპარი.
- ისე, „კომპანიას“ და „კომპანიას“ ნამდვილად უნდა არჩევდეს ერთმანეთისგან მაგ დონის პოლიტიკური მეზღაპრე...
- ბიძა და დისწული კი უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ასეთი მსგავსება, ძმაო, მართლაც იშვიათია.
- მე, მაგალითად, მეგონა, რომ თემურ ალასანია კი არა, თვითონ დისწული ლაპარაკობდა - გათემურალასანიევი უფრო მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თურმე ნიუ-იორკში მეტროთი და ფეხით დადის, რადგან ეს საწყალი ნაპრებიდენტალი ეკონომიკურად შეჭირვებული ყოფილა.
- ხო ნახე, რა თქვა: რადგან დაცვის დაქირავების საშუალება არა აქვს, ხან მე დავდე დაცვის მიზნით და ხანაც ჩემს ვაჟს ვაყოლებო. უკრაინაშიც ამიტომ ვახლდითო...
- რაც შეეხება რჩევებს, საერთოდ არ მეკითხება არაფერსო.
- ეტყობა, მუნჯური ურთიერთობა ჰქონიათ.
- არის საკითხები, როცა სწორედ მუნჯური ენის გამოყენებაა საჭირო. - მაგალითად, ირალით ვაჭრობის საკითხი.
- რას ერჩი, კაცო, მთელი ცხოვრება სწორედ ირალით ვაჭრობას ვებრძოდო, თანაც გაეროს დონეზეო.
- იქნებ სწორედ ამ ბრძოლის დროს ცოტას თვითონაც ნაივაჭრებდა ხოლმე, თაფლში თუ გაქვს ხელი ჩაყოფილი, თითების გალოკვას ვინ დაგიშლის!
- როგორც ჩანს, აგვისტოს ომის დროს თავისი ნაშოვნი ჟანგშეპარული იარაღის შესამონებლად იყო ჩამოსული გორში, სადაც მაინცდამაინც ვერ ასახელა მთავარსარდალმა დისწულმა.
- შენც გადაკრულად იმასვე აბრალებ, რასაც ეგ კაცი ჩივის.
- რაო, რას ჩივის?
- ამჟამინდელი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირალით ვაჭრობას მებრძობსო. ამიტომ სასამართლოში უნდა ვუჩივლოო.
- ვერ ჰქონია, აბა, ლარიბაშვილს საქმე კარგად. ეგ საერთაშორისო ორბიტაზე მოგრიალე ბიძა და დისწული მტერს გადაეკიდნენ.
- ისე, როგორც მაგის ზღაპრებიდან ჩანს, ერისა და ქვეყნის დამნაშავე დისწულთან ერთად მაგანაც ბევრ რამეზე უნდა აგოს პასუხი.
- მერე, აგებინებენ ვითომ?! რაღაც, სამწუხაროდ, საქმეს ჯერჯერობით არ ეტყობა. პური ცხელ თონეში უნდა ჩააკრა, ცივ თონეში გამოცხვარი პური გინახავს სადმე?!
- რა ვქნა, რატომღაც არა მგონია, რომ ამ თავშერცხვენილი პრეზიდენტყოფილის პოლკოვნიკი თუ გენერალი ბიძის „კომპანიური“ ზღაპრები ჩვენებურად, ძველქართულად, ანუ იყო და არა იყო რატი დამთავრდეს...
- ვნახოთ, აღდგომა წინ არის. აღდგომა და ხვალეო, ხომ გაგიგონია?!

მოქალაქეთა საუბარი ჩაიწერა გურამ ნიკლაურმა

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვებან ვერ ნახავ!..



# ამაყი ვარ, რომ ასეთი ხალხის მთავარსარდალი ვარ

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ავღანეთში, „ლესერნიკის“ სამხედრო ბაზაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მარგველაშვილმა სამხედროებს მიმართა და მსოფლიოს უსაფრთხოების პროცესში მათ წვლილზე ისაუბრა.

„მოგესალმებით ქართველ და ამერიკელ ჯარისკაცებს, რომლებიც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო მისიას ასრულებთ.

ამაყი ვარ, რომ ვდგავარ თქვენს გვერდით – ვდგავარ იმ ხალხის გვერდით, ვინც იცავს ჩვენი სამშობლოს სახელს, ქართველი მეომრის ღირსებას; ინარჩუნებს ქართველი კაცის უნარს, დაიცვას თავისი სამშობლო, თავისი იდეალები, თავისი მეგობრები და მოკავშირეები.

მე ამაყი ვარ, რომ ვდგავარ იმ ხალხის გვერდით, ვისაც ქართული დროშა მსოფლიო მასშტაბით, ძალიან მაღლა აქვს აწეული.

თქვენ ხართ ხალხი, თქვენ ხართ ადამიანები, ვის გამოც ჩვენ ვართ ამაყი ყველა შეხვედრის დროს, რომლებსაც ვმართავთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან.

თქვენ ხართ ადამიანები, რომლებიც ქართველებს სიამაყის საბაზს გვაძლევთ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას – თქვენმა ღირსებამ, რომელიც ჯარისკაცის მუნდირს ატარებთ, შორს გაითქვა სახელი.

თქვენ ხართ ადამიანები, ვინც საქართველოს დროშა გაიტანა ISAF-ის მისიაში და ამ მისიაზე საუბრისას, არა მარტო თქვენი ოჯახის წევრების, არამედ ძალიან ბევრი ქართველის გული ძვერს და იცვება სიამაყითა და სიყვარულით.

თქვენ ხართ ხალხი, რომლებსაც ელოდებიან და რომლებსაც ამაყობენ!

მე, როგორც ერთ-ერთი თქვენგანი და თქვენთან ერთად მყოფი, ამაყი ვარ იმით, რომ თქვენთან ერთად ვდგავარ და ასეთი ხალხის მთავარსარდალი ვარ! ბუნებრივია, გვირგვინს, რომელსაც თქვენ ყოველდღე იჩენთ, სამწუხაროდ, მსხვერპლის გარეშე არ ჩაუვლია და უნდა იცოდეთ, რომ ეს ყველა ჩვენგანს ისევე სტკივა, როგორც თქვენ.

ამავე დროს, გვეამაყება ის ადამიანები, რომლებმაც ჯანმრთელობა ან სიცოცხლე შესწირეს ამ მისიის შესრულებას, – მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ჯარისკაცებს.

# საქართველოს მთავრობა ყირიმში ჩატარებულ რეფერენდუმს არ აღიარებს

ამის შესახებ ურუნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა მათი ფანჯიკიძემ განუცხადა.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობის პოზიცია ყირიმში ჩატარებულ რეფერენდუმთან დაკავშირებით კვირას გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვაღიარებთ ამ რეფერენდუმს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დარღვევა, გარდა ამისა, ეს საერთაშორისო ნორმების დარღვევაა. ჩვენ ისევე, როგორც მთელი დემოკრატიული სამყარო, ევროკავშირი, ნატო, აშშ და სხვა ქვეყნები პროტესტს ვაცხადებთ იმის გამო, რაც მოხდა ყირიმში, – განაცხადა მათი ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება კითხვას, მოსალოდნელია თუ არა ანალოგიური რეფერენდუმების ჩატარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, მათი ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ გამოორიცხული არაფერი არ არის და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ყოველ შემთხვევაში, ის, რომ ჩვენი დამოკიდებულება ყირიმში ჩატარებული რე-

ფერენდუმის მიმართ არის ისეთი, როგორც არის, ეს გარკვეულწილად უნდა იყოს გაფრთხილება სხვებისთვისაც, იმ შემთხვევაში, თუკი მოინდომებენ რაიმე სახის რეფერენდუმის ჩატარებას, – დასძინა მათი ფანჯიკიძემ.



# ერეკლე კოდუას პროკურატურამ ბრალი წარუდგინა

რომელიც პროკურატურაში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, კოდუასთვის ბრალის წარდგენა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის ფაქტზე მოხდა.

გათვალისწინებულ პროკურატურის განცხადებას:

გამოძიებით დადგინდა, რომ 2008 წლის 29 აგვისტოს, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორი ერეკლე კოდუა თავის სამსახურში ოთახში შეხვდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნისა და შენახვის ფაქტზე დაკავებულ ბრალდებულ მერაბ რობაქიძეს, რომელსაც შეპირდა არასაპატიმრო სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, რაც აშკარად სცილდებოდა მისი უფლებამოსილების ფარგლებს, სანაცვლოდ კი მოთხოვა ორი ავტომანქანის ყიდვა სახელმწიფოსთვის გადასაცემად. მერაბ რობაქიძე დათანხმდა და მისი მეგობრების მეშვეობით შეიძინა 90 000 აშშ დოლარის საერთო ღირებულების

ორი ავტომანქანა, რომელთაგანაც ერთ-ერთი „LEXUS GX 470“ ჰოლდის 45 000 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა, ერეკლე კოდუამ ნაცვლად დაპირებისამებრ სახელმწიფოზე გადაცემისა, თაღლითური გზით, მოტყუებით გადააფორმა თავისი არასრულწლოვანი შვილის – ნოდარ კოდუას სახელზე, რითაც სარგებლობდნენ თვით ერეკლე კოდუა და მისი ოჯახის წევრები. ხოლო მოგვიანებით, 20 000 აშშ დოლარად გაასხვისეს სხვა პირზე.

გარდა ამისა, 2008 წლის 18 დეკემბერს ერეკლე კოდუამ დედის ლაურა ლაჭავასთვის შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისიდან“, შემდგომი გადახდის პირობით შეიძინა 92 000 აშშ დოლარის ღირებულების „ლექსუსის“ მარკის ავტომობილი.

ამის შემდეგ, 2009 წლის თებერვალში, ერეკლე კოდუა თავის სამუშაო ოთახში შეხვდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნისა და შენახვის ფაქტზე დაკავებულ ბრალდებულ გიორგი გურჩიანს და მის ძმას შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“

## ალიან-ჩალიანი

### კვირთუბრა ავღანეთის საგარეო

#### საქმეთა მინისტრი

საბრტყელის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ზარარ აჰმად ოსმანს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს, მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე ისაუბრეს.

მათივე ცნობით, გამოითქვა სურვილი, გააქტიურდეს თანამშრომლობა ეკონომიკური და სატრანსპორტო მიმართულებით. საქართველო ასევე მზად არის გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება დემოკრატიული რეფორმების გატარების კუთხით.

„ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს მთავრობის მეთაურს მადლობა გადაუხადა ავღანეთში ISAF-ის მისიაში ქართველი სამხედროების მონაწილეობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის.

### საპარტიველოსა და აზერბაიჯანს შორის

#### საბაჟო სფეროში შეთანხმება გაფორმდა

შეიძინა დოკუმენტი ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსმა ირაკლი გვარამაძემ და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარე აიბინ ალიევი. დოკუმენტზე ხელმოწერა სასტუმრო „რედისონში“ მოხდა, სადაც მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის საბაჟო ადმინისტრაციების ხელმძღვანელების კონფერენცია მიმდინარეობს.



– ეს მნიშვნელოვანი შეთანხმებაა. დოკუმენტი გულისხმობს ურთიერთთანამშრომლობას და ინფორმაციის შეუფერხებლად გაცვლას მხარეებს შორის. ასეთი შეთანხმება ბევრ სახელმწიფოსთან გვექნება გაფორმებული და ახლო

მეზობლებიდან დარჩენილი იყო მხოლოდ აზერბაიჯანი, – განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი გვარამაძემ.

ამასთან, როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, საბაჟო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისა და აქტიურ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს – საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის არსებული მზარდი ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებას გამოიწვია ქვეყნებს შორის არსებული საბაჟო თანამშრომლობის სამართლებრივი მექანიზმის დახვეწის აუცილებლობა და თანამედროვე სტანდარტების მქონე მოდელზე მორგება.

### ვენიცია მაღაზე მოვიდა

ვენიციაში 16 მარტს დაიწყო და 21 მარტამდე გაგრძელდება რეფერენდუმი ვენეციისა და ვენეტოს რეგიონის იტალიიდან გამოყოფის თაობაზე. ინფორმაციას ამის შესახებ „ბიბისი“ ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, რეფერენდუმის მონაწილეებმა უნდა უპასუხონ რამდენიმე შეკითხვას, მათ შორის: მხარს უჭერთ თუ არა ვენეტოს რესპუბლიკის შექმნას და ემხრობით თუ არა ვენეტოს რესპუბლიკის ნატოსა და ევროზონაში გაწევრებას?

ამასთან, „ბიბისის“ ინფორმაციით, ბოლო გამოკითხვის შედეგებით, აზერბაიჯანის ჩრდილოეთით მდებარე ვენეტოს რეგიონის ოთხმილიონიანი ელექტორატის ორმა მესამედმა მხარი დაუჭირა იტალიიდან გამოყოფას.

ვენეციამ, რომელიც ვენეტოს რეგიონის დედაქალაქია, დამოუკიდებლობა 1797 წელს ნაპოლეონთან დამარცხების შემდეგ დაკარგა. იტალიის შემადგენლობაში ვენეცია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შევიდა.

ინტერპრესი

# რა მოხდება ყირიმის შეიღებულ უკრაინაში?



## „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა პოლიტიკური კვლევების სენტრის ხელმძღვანელს ვლადიმერ ფესენკოს

**— ბატონო ვლადიმერ, იმის მიუხედავად, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის ნაკლებობა არ არის, აშკარაა, რომ თქვენთან არსებულ ვითარებაზე მაინც წინააღმდეგობრივი ინფორმაციები ვრცელდება. თქვენ როგორ შეაფასებდით ყირიმში და დანარჩენ უკრაინაში არსებულ ვითარებას?**

— ახლა მთავარი პრობლემა არა უკრაინაში არსებული მდგომარეობა, არამედ ყირიმში მიმდინარე პროცესები. რუსეთი ცდილობს უკრაინის ზოგიერთ რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციას, პრორუსული ძალების საშუალებით მოსახლეობაში ახალი ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების გამოწვევას. ვფიქრობ, ამგვარი პროცესები უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში 16 მარტისთვის დაგეგმილი რეფერენდუმის შემდეგაც გაგრძელდება. აშკარაა, რომ მოსკოვი ყირიმში რეფერენდუმის ჩატარებით უკრაინის სხვა რეგიონებისთვის პრეცედენტის შექმნას ცდილობს. როგორც ჩანს, რუსეთს ყირიმის არა მარტო პლაცდარმად, არამედ უკრაინის სხვადასხვა რეგიონში რეფერენდუმის ჩატარების მაგალითად გამოყენება სურს. ვგულისხმობ იმ რეგიონებს, სადაც რუსული მოსახლეობა საკმაოდ დიდია.

ამის კარგი მაგალითია დონეცკში მოქალაქეთა დაპირისპირების ინსპირირება, რომლის დროსაც უკრაინის ერთიანობის მხარდამჭერი ორი მოქალაქე დაიღუპა. სამწუხაროა, რომ სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირატორები უკრაინაში რუსეთიდან ჩასული მოქალაქეები არიან. ამას წინათ ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში და დონეცკში ამავდროულად ადმინისტრაციულ შენობებზე იერიშები სწორედ რუსეთის მოქალაქეებმა მიიტანეს. ვინც კრემლიდან უკრაინაში ამგვარ პოლიტიკური პროცესების განვითარებას უწყობს ხელს, მათ აშკარად არ ესმით უკრაინაში არსებული რეალური ვითარება.

რა თქმა უნდა, ახლა მთავარი პრობლემა ყირიმია. ფაქტობრივად, ამ რეგიონის რუსეთთან მიერთება მზადდება. ყირიმში მნიშვნელოვნად განსხვავდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისგან ანაც დნესტრისპირეთისაგან, ვინაიდან რუსეთის საზოგადოებას ყირიმის მიმართ თავისუფალი ისტორიულ-ფსიქოლოგიური კომპლექსი აქვს და ყირიმს თავის ნაწილად განიხილავენ. პუტინმა გადამწყვეტი, სწორედ ამაზე ეთარია, გაეზარდა თავისი პირადი რეიტინგი, პოპულარობა და გაქვითვები იქნა ქვეყანაში თავისი რეჟიმი.

აშკარაა, რომ ყირიმის თემის გააქტიურებით პუტინი რუსეთში შიდაპოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას ცდილობს. ამგვარი ნაბიჯები პუტინმა იმისდა მიუხედავად გადადგა, კარგად იცოდა თუ რა პრობლემები შეექმნებოდა მასაც და რუსეთს საერთაშორისო ურთიერთობებში.

16 მარტის რეფერენდუმის შემდეგ პროცესები სხვა სიბრტყეში გადავა, ვინაიდან ყველამ იცის, რომ უკრაინის კონსტიტუციისა და კანონების დარღვევით დანიშნული რეფერენდუმი, რომლის ჩატარების დროსაც სხვა ქვეყნის სამხედროები რეალურად აკონტროლებენ ნახევარკუნძულს, ფარსი იქნება. რეფერენდუმის ჩატარებით რუსეთს თავისი ნაშრომდარის ლეგალიზება სურს.

**— რუს ექსპერტთა ნაწილი, რომლებიც არა ლიბერალური, არამედ იმპერიული მსოფლმხედველობით გამოირჩევიან, ვარაუდობენ, რომ რუსეთის მიზანი არა ყირიმის მიერთება, არამედ იმის მიღწევაა, რომ უკრაინა არ იყოს უნიტარული სახელმწიფო, ყირიმში უკრაინაში დარჩეს, რითაც რუსეთს საშუალება ექნება, სერიოზული გავლენა შეინარჩუნოს მთლიანად უკრაინაზე. თქვენ გამო-**

**რიცხავთ, რომ კრემლის გეგმა ახლა სწორედ ასეთი შეიძლება იყოს?**

— რუსეთი ზენოლას ახორციელებს არა მარტო უკრაინაზე, არამედ მთელ დასავლეთზე და ცდილობს, იგი ფაქტის წინაშე დააყენოს. სინამდვილეში, ყირიმში მხოლოდ დასაწყისია და აქ შეიძლება იყოს მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარი. ყველაზე ცუდი სცენარი ე.წ. ქართული სცენარი იქნებოდა. ვგულისხმობ უკრაინის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო შეჭრას. არ არის გამორიცხული, ხარკოვში, დონეცკსა და დნეპროპეტროვსკში დაგეგმილი აქციებზე თავად რუსებმა გაიკეთონ ორგანიზება პროვოკაციების, რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალოს და ამის გამო შემოვიდნენ უკრაინის ტერიტორიაზე რუსული ქვედანაყოფები.

**— ანუ თქვენ ვთანხმებით აშშ-ის დაზვერვის დირექტორ ბენანს, რომლის მტკიცებითაც, რუსეთი მზად არის, დაიპყროს უკრაინის აღმოსავლეთი რეგიონები?**

— ბენანსაც რომ არ განეცხადებინა, ჩვენ საკმაოდ ბევრ ინფორმაციას ვიღებთ იმის თაობაზე, რომ რუსეთ-უკრაინის საზღვარზე ხდება რუსული სამხედრო ძალების კონცენტრაცია. სამწუხაროდ, ამგვარი ალბათობა საკმაოდ დიდია. არავინ იცის, რა გეგმით იმოქმედებს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, ადამიანი, ვინც რუსეთში გადამწყვეტილებებს იღებს. შესაძლოა, სამხედრო შეჭრა არ მოხდეს და რუსეთის მოქმედება უფრო „რბილი“ იყოს. ჩემი აზრით, ყირიმის შემდეგ რუსეთი უკრაინის რუსულენოვან რეგიონებში ვითარებას დესტაბილიზაციას და ყირიმის სცენარით მოქმედებას შეეცდება. ასევე შეეცდება, ჩაშალოს 25 მაისისთვის დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნები. შემდეგ კი, შეიძლება მოხდეს ქვეყნის გახლეჩა და რუსულენოვან რეგიონებში ყირიმისა და აფხაზეთის მსგავსად კვაზი-სახელმწიფოების ხელოვნურად შექმნა, რომლებიც რუსეთის პროტექტორატის ქვეშ იქნება; ანაც შეეცდება, აიძულოს უკრაინის ხელისუფლება, ქვეყანა გახდეს ფედერალური, რომლის სუბიექტებიც იქნებიან ის რეგიონები, რომელთაც რუსეთი უკრაინაში თავის მიერვე ინსპირირებული დესტაბილიზაციის შემდეგ შექმნის. ამით რუსეთი შეეცდება კიევის ხელისუფლების მნიშვნელოვანი გადამწყვეტილებების ბლოკირებას. ბლოკირება, უპირველესად, შეეხება ისეთ საკითხებს, რომელიც უკრაინის საგარეო ვექტორსა და უკრაინის ევროპულ არჩევანს შეეხება.

**— უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივნის ანდრეი ბარუბის მტკიცებით, უკრაინული არმია და სხვა ძალოვანი უწყებები უმძიმეს მდგომარეობაში არიან. შეიარაღებული ძალები პრაქტიკულად არ არსებობს. რჩება შთაბეჭდილება, რომ იანუკოვიჩი და მისი**

**ძალოვანი უწყებების მინისტრები კრემლისთვის მუშაობდნენ და ის, რაც ახლა ხდება, ამისათვის რუსეთი კარგა ხანია, ემზადებოდა?**

— იანუკოვიჩი მხოლოდ თავისი ინტერესებით ხელმძღვანელობდა და მისი მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის ძარცვა იყო. რა თქმა უნდა, მას არ უზრუნია ბრძოლის უნარიანი უკრაინული ჯარის შექმნაზე.

კიევში თებერვალში განვითარებულმა პროცესებმა გამოიწვია სახელმწიფო სტრუქტურების სრული დემორალიზაცია. ახლა ხდება მათი ქმედუნარიანობის აღდგენა და მართვის სისტემის შექმნა. ეს პროცესები უკრაინის შეიარაღებულ ძალებსა და მილიციაში დაწყებულია. ყველას იმის გამო ეშინია, რომ არ იციან, თუ რა იქნება სხვა ზეგ. მაგრამ არის დადებითი ტენდენციებიც. ყირიმში უკრაინულ ქვედანაყოფებს მიღებული აქვთ ბრძანება, არ დაიწყონ სამხედრო მოქმედებები და რუსი სამხედროების პროვოცირება არ გამოიწვიონ. კიევში ყველას კარგად ესმის, რომ პუტინს უნდა უკრაინული ხელისუფლების პროვოცირება და ახალმა ხელისუფლებამ პირველმა გახსნას ცეცხლი, რაც მას საშუალებას მისცემს,



დაიწყოს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, დაძრას ტანკები კიევისკენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ არა მარტო ყირიმში, არამედ ქვეყნის სხვა რეგიონებში უკრაინული ჯარი უკრაინის ერთგულებისთვის მიქალები ფიცის ერთგული რჩება. თუ რუსეთი, ყირიმის გარდა, თავისი შეიარაღებული ძალებით აქტიურ სამხედრო მოქმედებებს ქვეყნის სხვა ნაწილებში დაიწყებს, უკრაინული არმია და რიგითი მოქალაქეები თავს დაიცვენ. ვითარება საკმაოდ რთული და კრიტიკულია. ახალ ხელისუფლებას საკმაოდ კრიტიკულ ვითარებაში უწევს სახელმწიფო სტრუქტურების ქმედუნარიანობის აღდგენა. ყველაფრის მიუხედავად, არც იმის თქმა არ შეიძლება, რომ ყველაფერი დანგრეულია და უკრაინას არ ძალუძს წინააღმდეგობის გაწევა.

**— რუსი ექსპერტები და პოლიტიკოსები დაჟინებით იმეორებენ, რომ უკრაინას დაკარგული აქვს სახელმწიფოებრიობა. თუ**

**რუსეთმა აქტიური სამხედრო მოქმედებები მაინც დაიწყო რუსეთ-უკრაინის საზღვარზე, თქვენი აზრით, რა ნაბიჯებს გადადგამს და რამდენად ეფექტურად შეძლებს უკრაინის ხელისუფლება აგრესორისთვის წინააღმდეგობის გაწევას?**

— პასუხი მარტივია, უკრაინა თავს დაცავს. რაც შეეხება თქვენ მიერ რუსი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მოყვანილ მოსაზრებებს. ჩემი აზრით, რუსული პროპაგანდა მითების ტყვეობაშია. თუნდაც რად ღირს მათი განცხადება, თითქოს კიევში ხელისუფლება ხელში აქვთ ჩაგდებული ექსტრემისტებსა და ფაშისტებს. ეს ასე არ არის. უკრაინის მემარჯვენე რადიკალ-ნაციონალისტები ხელისუფლებაში წარმოდგენილი საერთოდ არ არიან. პარტია „თავისუფლება“ რაღაც თავისი ფრაქცია ჰყავს, რომლებიც მხარს უჭერენ უკრაინის ევროპულ ინტეგრაციას. ახალი ხელისუფლების ძირითადი ნაწილი პროევროპულად და განწყობილი და ისინი სულაც არ არიან არც ექსტრემისტები და არც ბანდიტები. ეს ყველაფერი კრემლის პროპაგანდის მითებია.

ვითარება მარტივი არ არის, ვინაიდან უკრაინაში გარდამავალი პერიოდი და ახლა ძალიან მნიშვნელოვანია 25 მაისს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. ამის შემდეგ ჩასატარებელი იქნება საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები, ახალი ხელისუფლების ფორმირება. უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში არიან პრორუსულად განწყობილი ადამიანები, მაგრამ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ სურს ქვეყნის გახლეჩა. ეს არ სურს არც პოლიტიკურ და არც ეკონომიკურ ელიტებს.

**— უკრაინის დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელის ნიკოლაი მალომუჟას შეფასებით, რუსეთი არ არის მზად უკრაინასთან ომისათვის და, რაც რუსულ არსებზე ხდება, სხვას არაფერს არ ემსახურება, თუ არა ვითარების ხელოვნურად დაძაბვას, რომ რუსეთმა უკრაინაზე სრული კონტროლი აღადგინოს. მაგრამ, როგორც ჩანს, არ იციათ, რომ ამის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია...**

— მე უკვე ვთქვი, რომ პუტინი მარტო ყირიმზე არ გაჩერდება და უკრაინის დაყოფის გზით უკრაინაზე კონტროლის აღდგენას შეეცდება. ჯერ ძნელია იმის თქმა, გამოიყენებს თუ არა პუტინი ამისათვის რუსეთის შეიარაღებულ ძალებს. ამის ალბათობა მართლაც არსებობს. თუ რუსეთი უკრაინასთან ომს დაიწყებს, ეს კატასტროფა იქნება თავად რუსეთისთვისაც. კატასტროფა არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც.

თუ რუსეთმა უკრაინასთან ომი დაიწყო, რუსეთს დასავლეთთან მკაცრი დაპირისპირება მოუწევს. იმედოვნებ, რომ ეს პუტინს გააჩნდება. აშკარაა, რომ ახლა პუტინი ძალიან სარისკო თამაშს თამაშობს. იგი ყირიმში ომის გამოუცხადებლად ცდილობს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას. ამიტომაც ვამბობ — ყველაზე სავარაუდოა, რომ რუსეთი შეეცდება უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში სიტუაციის დესტაბილიზაციას და ამის შემდეგ ყირიმში უკვე აპროკრატული სცენარის შესაბამისად მოქმედებას.

კოზა პენდელიანი

**ალიან-ჩალიანი**

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა, ფაქტობრივად, საზღვრები გაღიქრა**

ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, რუსეთის მიერ საზღვრების ხელახალი გადაკერვა უკრაინით არ დაწყებული, იგი საქართველოთი დაიწყო. მისივე განცხადებით, დასავლეთს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტრაგედიის მიმართ შესაბამისი რეაქცია რომ ჰქონოდა, ყირიმში მოვლენები იმდამდგარად აღარ განვითარდებოდა.

ცაგარეიშვილმა 1938 წლის მარტში, შიტლერის მიერ ავსტრიის ანექსიის ფაქტი გაიხსენა და პუტინი შიტლერს შეადარა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ სწორედ მსგავსი მეთოდებით მოახდინა შიტლერმა ავსტრიის მიერთება.

გიორგი ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების სწორ რეაქციაზე ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება ყირიმში მოვლენები. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ ვითარება გართულდება და ამ კონფლიქტში ჩართული იქნება სრულიად მსოფლიო.

ინტერპრესი



მერმანის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ ვალტერ შტიანმაიერი რუსეთს მოუწოდებს, შეიცვალოს პოზიცია ყირიმის კონფლიქტთან მიმართებაში და აცხადებს, რომ ყირიმში შექმნილი ვითარება ფეთქებადსაშიშარია.

„ჩვენ არ ვეძებთ კონფრონტაციას, მაგრამ თუ რუსეთი არ წავა დათმობს, მაშინ ორშაბათს, ვეროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე შესაბამის პასუხს გავცემთ რუსეთის ქმედებებს. რუსეთი ამ დრომდე უარს აცხადებს უკრაინაში კრიზისის დარღვევების ყველა ვარიანტზე, სიტუაციის დევსკალაციაზე და, როგორც ჩანს, აპირებს ქმედებებს, რომლებსაც ჩვენ ვერ შევგუებით“, — განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ამასთან ყირიმში რეფერენდუმის ჩატარებამდე რუსმა სამხედროებმა აღიარეს, რომ მოქმედებს 17 მარტიდან დაიწყებულ და ყირიმის ალექსანდრე ვოლოცკი ვრთი თვის განმავლობაში დასრულდება.

წავა თუ არა რუსეთი ასეთ რადიკალურ ნაბიჯებზე, რომელმაც შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომიც კი გამოიწვიოს, ამ თემაზე ექსპერტი ვახტანგ ქაბირაძე გვესაუბრება.

ბატონო მხატვარო, როგორ ფიქრობთ, რამდენად სერიოზულად შეიძლება განვიხილოთ ინფორმაცია, რომ რუსი სამხედროები შტურმით აიღებენ ყირიმს?

ყირიმში არის რუსული სამხედრო ბაზები, რომლის კონტროლსაც უკრაინული სამხედრო დანაყოფები ახორციელებენ. წინა პერიოდში იყო რამდენიმე მომენტი, როდესაც უკრაინული ბაზები რუსულმა გაურკვეველმა ფორმირებებმა მოაქციეს ალყაში და მოითხოვეს იარაღის ჩაბარებას, მაგრამ ეს არ მოხდა, ეს ბაზები უკრაინელებმა არ დატოვეს.

მოვისმინე განცხადება, რომ 17 მარტის შემდეგ ეს ფორმირებები და ბაზები გამოცხადდება კანონგარეშედ. სიმართლე გითხრათ, საკმაოდ რთული სიტუაციაა, თუმცა ვთვლი, რომ ბრძოლა მიმდინარეობს არა ყირიმში, არამედ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

ალბათ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება, იმაზე, თუ რა მოხდება რეფერენდუმის შემდეგ — ამერიკა იმუქრება სანქციებით — როგორი იქნება ეს სანქციები და მასზე პასუხი, თუ ეს სანქციები მართლაც ამოქმედდა, ეს იქნება მნიშვნელოვანი.

არა მგონია, რომ ამ შემთხვევაში რეფერენდუმის შემდეგ, რომლის შედეგი წინასწარვე ყველასთვის ცნობილი იყო, მომენტალურად დაიწყოს უკრაინულ სამხედრო ბაზებზე თავდასხმები და ცეცხლის გახსნა. ეს არ შედის არც ერთი ქვეყნის ინტერესებში — არც უკრაინის, არც რუსეთის და არც — დასავლეთის.

რადაც პირობებს, ალბათ, ნამოყვინებენ რუსები ამ ბაზებთან დაკავშირებით, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რა ნაბიჯებს გადადგამს დასავლეთი, რომლის პოზიციაც რეფერენდუმთან დაკავშირებით, ასევე წინასწარ იყო ცნობილი — ის არ აღიარებს შედეგებს ყირიმული რეფერენდუმისა.

რეფერენდუმის წინ ნატოს გენერალური მდივნის განცხადებაზე გავრცელდა, სადაც საუბარი იყო ზოგადად ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების უფლებაზე...

ამ მეორე მხარეს არის, იურიდიული ბრძოლა მიმდინარეობს. უკრაინის საკონსტიტუციო კომისიაში ეს საკითხი განიხილება და შესაძლოა, ყირიმის რადა დაითხოვონ ანტიკონსტიტუციური მოქმედებების გამო. ანუ სამარტობრივი ბრძოლაც ერთ-ერთი მხარეა.

მინც მგონია, რომ შესაძლოა, რაღაც გართულებები იყოს, მაგრამ ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირებას ნამდვილად არ ველოდები. არა მგონია, რომ ეს მოხდეს, თუმცა, ხიფათი იმისა, რომ პროვოკაციები იყოს, აშკარად იქნება და ნამდვილად არსებობს. დაძაბულობა ნელ-ნელა აღწევს კულმინაციას. როგორი იქნება განმუხტვა, ძნელი წარმოსადგენია. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, არ მგონია, დასავლეთი მზად იყოს იმისათვის, რომ სამხედრო ჩარევა მოახდინოს ამ კონფლიქტში. არც რუსეთი მოისურვებს ამის გაკეთებას.

უკრაინის ყოფილი თავდაცვის მინისტრის განცხადებით რუსეთი აპირებს ომი დაიწყოს ქვეყანასთან, რომელსაც 5 ბირთვული სადგური აქვს. რუსეთის ხელისუფლებს მხრიდან გაკეთებული განცხადებებში ნაკლებად იგრძობა, რომ კრემლს ეს ადარდებდეს, თუ იცავს საომარი მოქმედების დაწყების შემთხვევაში ბევრი ექსპერტი მესამე მსოფლიო ომის დაწყებას წინასწარმეტყველებს...

ვფიქრობ, ეს გამოირჩევა. თუ დაიწყოს ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები, ვგულისხმობ, რუსეთსა და უკრაინას, ეს პროცესი ერთ და ორ დღეში და ერთსა და ორ წელიწადში არ დასრულდება. ეს იქნება საკმაოდ რთული პროცესი, რომელმაც შესაძლოა, ისეთივე ხასიათი მიიღოს, როგორი ხასიათიც მიიღო ამან ავღანეთში (როდესაც საბჭოთა კავშირი შევიდა ავღანეთში).

ეს იქნება ძალიან დიდი დარტყმა უპირველეს ყოვლისა, რუსეთისთვის, რადგან პროცესი შეიძლება გახდეს არაკონტროლირებადი, რაც ნიშნავს, რომ არეულობის ტალღა საშუალო დაპირისპირებისა, შეიძლება გადაედოს რუსეთსაც.

უკვე დაიწყო გაფიცვები რუსეთში უკრაინის მოვლენების გამო, დემონსტრაციები უკრაინაში მოსალოდნელ საომარ მოქმედებებს აპროტესტებენ, მაგრამ რამდენად შეიძლება პუტინმა ამას ანგარიში გაუწიოს? ეს არ არის მასშტაბური და პერმანენტული გამოვლენა...

# მესამე მსოფლიო ომის დაწყება პრაპის ინტერესებში არ შედის

ანლა, რუსული საზოგადოება აფიტირებულია. უკანასკნელი გამოკითხვებით ყირიმში განვითარებული პროცესების გამო პუტინს მხარს უჭერს რუსული მოსახლეობის 70%-ზე მეტი, მაგრამ ეს რეიტინგი უფრო ეიფორიულია.

ყველა მხრიდან რომ შევიდნენ რუსი სამხედროები და უკრაინის ყველა ქალაქი დაიკავონ, ეს ასე მარტივად ვერ დამთავრდება. პროცესი ყველა შემთხვევაში დროში გაიწელება და ეიფორია უკრაინასთან მიმართებაში გაივლის. საკმარისია ეს დაპირისპირება ერთ წელიწადს გაგრძელდეს, თავად რუსეთში დაწყება ძალიან დიდი ანტისახელისუფლებო გამოვლენები.

რუსული მოსახლეობა ზოგადად, იმპერიული აზროვნების საზოგადოებაა. ისინი მხარდამჭერები იყვნენ რუსეთის საზღვრების გაფართოების დასავლეთით, აღმოსავლეთით თუ სამხრეთით, მაგრამ როგორც კი სიტუაცია შედიოდა კრიზისში, ნელ-ნელა იწყებოდა განხილვა ამ იმპერიული ნაბიჯების. რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველთვის ხდებოდა დაპირისპირება უკვე საკუთარ ხელისუფლებასთან.

ბუნებრივია, სანქციებით დასავლეთი იზარალებს, მაგრამ არც მას აქვს სხვა გამოსავალი ამ შემთხვევაში, მაგრამ იძულებული ხდება, გაატაროს ძალზე მკაცრი ეკონომიკური სანქციები — სამხედრო ძალით ჩარევას, ფაქტობრივად, გამოვირიცხავ.

სანქციები იქნება იმდენად ძლიერი, რომ რუსული მოსახლეობა ამას ძალიან სწრაფად იგრძნობს, რაც გამოიწვევს იმას, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ აუცილებლად დაიწყება გამოსვლები. რუსეთი იძულებული გახდება ნავიდეს კომპრომისზე და ისევ დაჯდეს მოლაპარაკებათა მაგიდასთან.

ვფიქრობ, სცენარი ასე განვითარდება და ისიც მგონია, რუსეთის ხელისუფლებამ, იგივე პუტინმა იცის, რომ მოვლენები ამ მიმართულებით არ უნდა განვითარდეს.

მიუხედავად რეფერენდუმის გადამწყვეტილებისა, ვფიქრობ, რუსეთი არ გარისკავს და არ მოახდენს ყირიმის მიერთებას რუსეთის ფედერაციასთან, თუმცა, რეფერენდუმის შედეგებს, რა თქმა უნდა, ცნობს.

ყველაზე საგარაუდო სცენარი, ჩემი აზრით, ყირიმში შეიძლება ისეთივე სტატუსი მიიღოს რუსეთის მხრიდან, როგორც მოხდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში.

დასავლეთი დღემდე არ აღიარებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რუსეთის მიერ აღიარებულ სტატუსებსაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ უკრაინის შემთხვევაში დასავლეთი უფრო აქტიური აღმოჩნდება, ვიდრე საქართველოსთან მიმართებაში მოხდა?

საქმე ისაა, რომ დიდი კამათი და აზრთა სხვადასხვაობებია, თუ რა მოხდა 2008-ში. რა თქმა უნდა, ყოფილი ხელისუფლება ცდილობს, რომ თემები ერთმანეთს გადააჯაჭვოს და ისე წარმოაჩინოს, თითქოს, საქართველოში არის საზოგადოების რაღაც ნაწილი, რომელიც რუსეთს ოკუპანტად არ მიიჩნევს. თუმცა ეს ასე არ არის — რუსეთი ვინც არის და როგორიც არის ეს ყველამ ყოველთვის კარგად ვიცოდით.

საქართველოს ხელისუფლება მაშინ წამოეგო ამ პროვიკაციას და თავად ჩაერთო ამ საომარ მოქმედებებში, საბაბი მისცა, რომ რუსეთს განეხორციელებინა ოკუპაცია და მანაც განახორციელა.

რეალურად, საკუთარ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლებას ყველანაირი საერთაშორისო უფლება აქვს, რომ დაიცვას ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს იყო პროვიკაცია, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება წამოეგო.

ისიც ვთქვამთ, რომ იმ მომენტში დასავლეთის სახელმწიფოებმა გააკეთეს მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც მათ უნდოდათ და შეეძლოთ — ძირითადად მათმა დამოკიდებულებამ შეაჩერა რუსეთის წინსვლა თბილისკენ.

პროცესი, რომელიც უკრაინაში სამი თვეა მიმდინარეობს, ეტაპობრივად ვითარდებოდა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკა ჩართული იყო მასში. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვიღებთ იმას, რომ დასავლეთს უბრალოდ არანაირი ხელშეწყობა, თუნდაც თავის გამართლების მიზნით, არ აქვს, რომ უკრაინას არ დაუდგეს გვერდში, არ დაიცვას მისი პოზიციები. მას არანაირი მოტივაცია და გამართლება ამისა, არ მოეძებნება.

ამიტომ ვფიქრობ, დასავლეთი გააკეთებს ყველაფერს, გარდა სამხედრო ჩარევისა, რომ უკრაინის პოზიცია იყოს გამაგრებული და მხარდაჭერილი დასავლეთიდან. რუსეთი ძალიან დიდი რისკის ქვეშ დგება, რადგან არსებობს წინაპირობა, რომ რუსეთი მოექცეს საერთაშორისო იზოლაციის ქვეშ. რა თქმა უნდა, ეს არის გამოცდილი მეთოდი დასავლეთის მხრიდან. ეს არის ის ცივი ომის სტრატეგია, რასაც რუსეთი ახორციელებდა საბჭოთა კავშირის მიმართ ბოლო 40 წლის განმავლობაში და რამაც საბოლოოდ მოგვიყვანა იქამდე, რომ მთელი სოციალისტური სისტემა დაირღვა.

რა თქმა უნდა, 40 წელი საკმაოდ დიდი დროა, მაგრამ მეორეა, ყველა ქვეყანა და ერი იბრძვის იმისათვის, რომ საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს ცივილურ სამყაროში. თუ უკრაინასაც სურს ეს, მაშინ ის იძულებული და ვალდებულია, იბრძოდეს.

დასავლეთი უკრაინის ნაცვლად არ იბრძოდებს, ეს ცხადია, ისევე, როგორც ჩვენს მაგივრად არ იბრძოდებს, თუმცა, მხარდაჭერა იქნება. ვერ მოვთხოვთ და არც შეიძლება მოვთხოვოთ დასავლეთს იმაზე მეტი მხარდაჭერა, ვიდრე შეუძლია.

საბჭოთა პერიოდში მუდმივად იყო რეპრესირებული პოლონეთი, გერმანია, უნგრეთი ჩეხეთი, ბალტიის ქვეყნებზე აღარაფერს ვამბობ. ამ ქვეყნებს ბრძოლა, რუსული დიქტატისგან გასათავისუფლებლად არ შეუწყვეტიათ, მიუხედავად იმისა, რაც ხდებოდა ნებისმიერ დედაქალაქში, იქნებოდა ეს ვარშავა, პრაღა, ბუდაპეშტი თუ სხვა. უკრაინულ ხალხსაც აქვს საშუალება, დასავლეთის დახმარებით იბრძოდოს იმისათვის, რომ გახდეს რეალურად დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა.

თქვენ თქვით, რომ საომარი მოქმედებების შემთხვევაში დასავლეთის მონაწილეობას არ უნდა ველოდეთ, თუმცა არსებობს 1992 წლის შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც აშშ და რამდენიმე სხვა ქვეყანა მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტორია ბირთვულ იარაღზე უარის სანაცვლოდ. ამ ხელშეკრულებას ვურადლებს არაფერს მიაქცევს?

თუ არ ვცდები, ამ ხელშეკრულებას ოთხი სახელმწიფო აწერს ხელს — ეს არის უკრაინა, რუსეთი, აშშ და ბრიტანეთი, მაგრამ უკვე ამ ხელშეკრულების სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირება მიდის. რუსეთი აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც მოხდა კიევი, ეს ხელშეკრულება დევალივირებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ რაღაც დაირღვა, ძალა იქნება გამოყენებული.

ნაკლებად უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ხელშეკრულების გამო იქ ომი დაიწყება — არარეალური მეჩვენება, რომ ამ კონფლიქტს ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები მოჰყვეს და ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს. ეს არ შედის არავის ინტერესებში.

ესაუბრა ლალი ზირაძე



# ჩვენისთანა პედნიერი განა არის სადმე ერი?

**ძარტყმითი კანონმდებლები იმაზე დავობენ, ვინ დატოვა საომარი მოქმედების დროს ქვეყანა. საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გოგა ხაჩიძემ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს, ევა ბენედიას ყოფილი ხელისუფლების იმ მაღალჩინოსნების დასახელება სთხოვა, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ქვეყნიდან გარბოდნენ. ბენედიამ კი კოლეგას ომთან დაკავშირებული ცალკეული ეპიზოდები გაახსენა.**

ხაჩიძის სურვილი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა დააკმაყოფილა. მან 2008 წლის 7-14 აგვისტოს, ხელისუფლების ყოფილი წევრების ქვეყნიდან გასვლა-შემოსვლის სია გამოაქვეყნა. სია, აგვისტოს ომის შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა და ეს სია პარლამენტის არქივში ინახება.

სია, თავის მხრივ, ძალიან საინტერესოა. ამ სიის მიხედვით ირკვევა, რომ პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ქვეყანაში 8 აგვისტოს დაბრუნდა; გიგა ბოკერია ქვეყანაში 9 აგვისტოს დაბრუნდა, გასვლის თარიღი მითითებული არ არის. ნინო კლანდაძე ქვეყანაში შემოვიდა 10 აგვისტოს, ქვეყნიდან მომდევნო გასვლის თარიღი კი სიაში მითითებული არ არის. დავით ბენედიას ქვეყნიდან 7 აგვისტოს გავიდა და შემოვიდა 11 აგვისტოს, ხოლო 15 აგვისტოს კვლავ გავიდა ნითელი ხიდიდან.

ევა ტყეშელაშვილი ქვეყნიდან გავიდა 13 აგვისტოს და დაბრუნდა 15-ში. ბაკურ კვეციანი 9 აგვისტოს დაბრუნდა ქვეყანაში. ბეჟან ხურციძემ საქართველოს საზღვარი გადაკვეთა 7 აგვისტოს, შემოსვლის თარიღი სიაში მითითებული არ არის. რომან მარსაგიშვილი ქვეყნიდან გავიდა 8 აგვისტოს, შემოსვლის თარიღი კი უცნობია.

მერაბ სამადაშვილი სადახლოს გავლით ქვეყნიდან 12 აგვისტოს გავიდა და იმავე დღეს დაბრუნდა. გიორგი ლვინიაშვილი ქვეყანაში, ვალეს გავლით 11 აგვისტოს დაბრუნდა, თუმცა, როდის გავიდა ქვეყნიდან უცნობია. კობა ნაყოფია ქვეყნიდან გავიდა 7 აგვისტოს, ქვეყანაში შემოსვლის თარიღი კი მითითებული არ არის. დეპუტატი ირაკლი ქავთარაძე ქვეყნიდან გავიდა 8 აგვისტოს, შემოსვლის თარიღი უცნობია.

გიგი წერეთელი 7 აგვისტოს გავიდა ქვეყნიდან, 9 აგვისტოს კი დაბრუნდა. სიაში ორი გიორგი თარგამაძეა მითითებული. მათ სხვადასხვა პირადი ნომერი აქვთ. გიორგი თარგამაძე პირადი ნომრით 01005002431 ქვეყანაში შემოვიდა 10 აგვისტოს, ხოლო მეორე გიორგი თარგამაძე პირადი ნომრით 0102401110 ქვეყნიდან გავიდა 7 აგვისტოს და დაბრუნდა 8 აგვისტოს.

ეს სია საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა პაატა დავითაიას „აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ დროებით კომისიას“ 2008 წლის ომის შემდგომი გადაუგზავნა. სია რომ სრულყოფილი არაა, ეს ფაქტია, რადგან ამ სიაში არ ფიგურირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე მალხაზ აქიშბაია, რომელიც საომარი მოქმედების დაწყების დღეს სამეგრელოში, კერძოდ კი ზუგდიდში იმყოფებოდა.

მთავრობის თავმჯდომარე დაცვის თანამშრომლებს გაეპარა და გეზო აჭარის მიმართულნი იყვნენ. დაცვამ კი აქიშბაია ბათუმში იპოვა, სადაც ის მისი დაცვის თანამშრომლებს დაემშვიდობა და ასე მიმართა: „მე თავს ვუშვები, თქვენ თქვენს თავს უშვებთ“. აქიშბაიას დაცვამ აჭარა შემოვიღო. თი გზით დატოვა. რაც შეეხება თავად აქიშბაიას, რომელიც თურქეთის მიმართულნი უნდა გაფრენილიყო, უშიშროების სამსახურმა თვითმფრინავიდან ჩამოიყვანა.

აგვისტოს მოვლენების შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიის წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ამ დასკვნაში მნიშვნელოვანი ინფორმაციები არის ყოფილი მაღალჩინოსნების შესახებ, რომელსაც გრიფი ადევს. ლორთქიფანიძე პარლამენტს მიმართავს, რომ კომისიის დასკვნა გაასაჯაროს.

**რა მოტივით დატოვა საქართველო პარლამენტის წევრმა კობა ნაყოფიამ და რატომ მოითხოვა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სხდომის დახურვა, ამ საკითხებზე For.ge დიმიტრი ლორთქიფანიძის** ესაუბრა.

— დღემდე დავის საგანია ვინ დატოვა ქვეყანა. რა ხდებოდა კომისიის დახურულ სხდომაზე?

— ამ კომისიის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის დახურული მუხლები, რომელიც

საიდუმლო რეჟიმში მიმდინარეობდა და რომელთა დაკავშირებითაც საუბრის უფლება არ მაქვს. ამასთან დაკავშირებით დღევანდელმა პარლამენტმა უნდა იმსჯელოს და გაასაჯაროვოს დეტალები, რასაც ვითხოვ. ძალიან ბევრი საიდუმლო რეჟიმს დაქვემდებარებული ინფორმაცია ექვემდებარება გასაჯაროებას.

მაგალითისთვის გეტყვით, მთელს საქართველოში აინტერესებს რატომ დატოვეს ქალაქი გორი დაუცველი? რატომ აღიმართა ბოლო ზღუდე მცხეთაში? რატომ არ მოხდა საინჟინრო-საფორტიფიკაციო ნაგებობის აგება ფრონტის წინა ხაზზე, როდესაც

— რაც შესებება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოქმედებას, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ის ზუგდიდიდან გაემგზავრა ბათუმში, ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც რუსეთის რეგულარულმა არმიამ ფრონტის ხაზი გასწრა კოდორის მიმართულნი. როგორც ირკვევა, ის ტრაგიკულად იქნა ჩამოყვანილი, ანუ მიემგზავრებოდა თურქეთში. ეს ინფორმაცია კომისიის დასკვნით დასტურდება?

— მაგალითად, რომ ამ კითხვას მისვამთ. მაღალი აქიშბაიას მოქმედებასთან დაკავშირებით, კომისიის დასკვნაში არაა თუ საგანგებოდ არის მიძღვნილი მისი მოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით ინფორმაცია,

# პირთსახვის გასაიდუმლოებული რბოლა...



ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ? რატომ მოხდა, რომ სამივე ბატალიონი ჩვენი რეზერვისტებისა, ფაქტობრივად, იქნა განწირული და ყვითელ ავტობუსებში ბედის ანაბარა დატოვებული ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე?

რატომ ხელმძღვანელობდა საბრძოლო-საშტაბო მოქმედებებს ამ საქმეში აბსოლუტურად ჩაუხედავი პირთა ჯგუფი, როგორც არის გიგი უგულავა, ლადო ვარძელაშვილი და ა.შ.? რატომ იყო, რომ საგანგებო სიტუაციათა მართვის სახელმწიფო კომისია არ მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხელმძღვანელი იყო იმდროინდელი პრემიერ მინისტრის მიერ? ძალიან ბევრი შეკითხვაა, რომელიც ნათელს მოჰყვინდა საქართველოს მდგომარეობას იმ დროს და საქართველოს ხელისუფლების სრულიად უნიათო და უპასუხისმგებლო მოქმედებებს.

— ამ კითხვებზე პასუხები თუ მიიღეთ იმ ადამიანებისგან, რომლებიც მონაწილე იყვნენ კომისიის სხდომაზე?

— მქონდა შესაძლებლობა, რომ პირადად დამეკითხა ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და მიხეილ სააკაშვილი. მათი გამოკითხვის ოქმები საიდუმლო რეჟიმშია მოქცეული. როდესაც ღია ეთერში შეკითხვა დავუსვი ვანო მერაბიშვილს, რატომ დარჩა გორი დაუცველი, მან მოითხოვა სხდომის დახურვა. აი სხდომის დახურვის შემდეგ რაც თქვა, ეს ყველაფერი საქართველოს პარლამენტში დაცულ მდგომარეობაშია. რატომ არ შეიძლება, რომ ეს ინფორმაცია საჯარო გახდეს, ეს ჩემთვის უცნობია.

ახალი ხელისუფლების მხრიდან ისმის მარტო ერთადერთი გზავნილი, რომ აპრიორი არ აქვს და, რომ ეს იყო ფორმალური ბული. არ ვეთანხმები ამას, იმიტომ, რომ პირადად ჩემს მიერ სამოქალაქო თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ყველა ის გამოწვევა და დარღვევა, რომელიც სახეზეა, ასახული იქნა დამოუკიდებელ დასკვნაში, რომელიც მე ცალკე გამოვეცი.

ამ დასკვნაში მნიშვნელოვანი ინფორმაციებია, იგივე აფხაზეთის მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელის მალხაზ აქიშბაიას ქმედებაზე. დავით კვეციანი უკანონო მოქმედებაზე, იგივე ეროსი კონმარშივის უკანონო მოქმედებებზე. არის მთელი რიგი ინფორმაციები, რომელიც მოითხოვს გასაჯაროებას.

არამედ რეაგირებისთვის გაგზავნილი პროკურატურაში. როგორც მასხოვს, მინიმუმ, 7 საკითხი არის რეაგირებისთვის დაქვემდებარებული პროკურატურას, მაგრამ მათზე რეაგირება არ ყოფილა. ბატონი აქიშბაია პასუხისმგებელი იყო კოდორის ხეობაში განვითარებულ პროცესებზე. ის იქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იქ არ აღმოჩნდა. ინფორმაცია მისი მოძრაობის ტრაექტორიის შესახებ, მოგვანოდა სამთავრობო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა გრიფით „საიდუმლო“. გრიფით „საიდუმლო“ საბოლოო ჯამში, აისახა ჩვენს დასკვნაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მასზე რეაგირება არ მოხდარა. თუმცა, ინფორმაცია რომელიც უკავშირდება აქიშბაიას, ხანდაზმული არაა და დღესაც შეიძლება მასზე რეაგირება.

— პროკურატურა იძიებს აგვისტოს ომის მიზეზებს და შედეგებს, როგორც ამბობენ, კონკრეტულ პირთა მხრიდან დანაშაულის ნიშნები გამოიკვება. მგონი ბადაშაულია ამბობს, რომ არაერთხელ მიმართა კომისიის თავმჯდომარეს, რომ საჯარო გაეხსნა ის სიები, რომელიც მოგვანიშნებდა ქართულ მედიაში. გარდა ამ სიებისა, სხვა სიებიც არსებობს, რომელთა შესახებ ჯერჯერობით საზოგადოებამ არაფერი იცის?

— იმ პირთა სიები, რომლებიც ცოცხებდნენ საქართველოს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით გავიდნენ და შემოვიდნენ, მათ შორ

ის ოლიმპიადის შემადგენლობის დელეგაციის ჯგუფი, ყველა იქნა გამოქვეყნებული. ეს სიები წაკითხული იქნა პირდაპირ ეთერში. მას შემდეგ, რაც დასახელდა ყველას სახელი და გვარი, გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომელიც საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა მოგვანოდა. ამის შემდეგ მთელი ეს ინფორმაცია გავრცელდა მედიის საშუალებით.

თუ საუბარია იმაზე, რომ არის დამატებითი სია და ჯონდი ფლობს ამ ინფორმაციას, მაშინ გასაჯაროვდეს ყველა საიდუმლო რეჟიმს დაქვემდებარებული ინფორმაცია. არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რომლის სრული დაცვის შემთხვევაში, პარლამენტი უფლებამოსილი იქნება მთავრობასთან შეთანხმებით გასაჯაროვოს ეს ინფორმაციები. დღეს დადგა უკვე მიზანშეწონილობა ასეთი ინფორმაციების გასაჯაროებისა.

— როგორც პარლამენტის წევრი, დაინტერესდით გაგერკვირით რატომ არ მოახდინა მაშინ პროკურატურამ გადაგზავნილ საქმეებზე რეაგირება?

— პოლიტიკური ნება არ არსებობდა. არ ყოფილა დღე, რომ არ შემეხსენებინა მაშინდელი ხელისუფლებისთვის. იგივე დავით კვეციანისგან დაკავშირებით კომისიას ჰქონდა სერიოზული პრეტენზიები და ამ პრეტენზიებთან დაკავშირებით პროკურატურას უნდა ჰქონოდა რეაგირება, მაგრამ როგორ განირაგდნენ მაშინ კვეციანისგან, როცა დღესაც მფარველები ჰყავს?

— შეგიძლიათ მოხსნათ, ვინ არის ის შვიდი ადამიანი, რომელთა წინააღმდეგ მასალები გადაუგზავნეთ პროკურატურას?

— ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. შეიძლება უფრო ნაკლებია, მაგრამ ფაქტობრივად და კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით, როგორც მე მასხოვს, 7 რეკომენდაციაა გაცემული. დავით საყვარელიძემ იცრუა, როდესაც თქვა, რომ კობა ნაყოფია, თურმე, იმიტომ წავიდა, რომ 20 ათასი სანოლი გამოეგზავნა თურქეთიდან. არაა, ბატონებო, ეს სიმართლე. კობა ნაყოფია დაკითხა კომისიამ და მან პირდაპირ განაცხადა, რომ ქვეყნიდან წავიდა საკუთარი ბიზნესის გადარჩენისათვის.

— მიხილთ სააკაშვილს არ ჰკითხეთ, სად გარბოდა მთავრობისგან?

— ყველა შეკითხვა დავსვით და ძალიან ბევრ შეკითხვაზე პასუხი არის საიდუმლო რეჟიმში მოქცეული, ისევე, როგორც ეს და სხვა შეკითხვა. ჩემი ძალიან დიდი თხოვნა იქნება, დაუსვათ ხელისუფლების წარმომადგენლებს შეკითხვა, რატომ არ ხდება ამ კომისიის მიერ ზოგიერთი საიდუმლო რეჟიმს დაქვემდებარებული დოკუმენტის გასაჯაროება.

— დანაშაული, რომელიც ჩადენილი იქნა 2008 წელს, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს?

— ეს პროკურატურის პრეროგატივაა. ის დაადგენს კონკრეტულ პირთა დანაშაულს. პირველ რიგში, უნდა დადგეს ქვეყნის უმაღლესი მთავრობის, საომარ მოქმედებებზე იმ დროს პასუხისმგებელი პირებისა და მათ შორის, ქალაქის მერის გიგი უგულავას, შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის და ყველა იმ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც სრულიად უპასუხისმგებლო გადამწყვეტილება მიიღეს. მოხსნეს ყოველგვარი ზღუდეები და, ფაქტობრივად, ქვეყნის შურაგული დაუტყველიდა. ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს არის საკითხი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და უნდა გაასაჯაროვოს ეს საქმე.

ესაუბრა თამთა ძარჩავა

**ალიან-ჩალიანი**

**დაზარალებულმა მინაშენებმა საპროტესტო აქცია გამართეს**

სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის“ წარმომადგენლებმა და დაზარალებულმა მინაშენებმა მერიასთან საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც კომპანიის მმართველი საბჭოს წევრმა ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, ისინი მოითხოვენ, „თბილისის განვითარების ფონდმა“ სასამართლოდან გამოითხოვოს საარჩევანი აღნიშნული სარჩელი, „ცენტრ პოინტის“ მიერ ლარის ვალად აღიარება სთხოვონ. რჩეულიშვილი განმარტებით, ეს თანაა ფონდმა კომპანია „დექსუსის“, რომელიც „ცენტრ პოინტის“ მართავს ახორციელებდა, კრედიტის სახით მისცა, თუმცა, დღემდე გაურკვეველია, მოხმარდა თუ არა თანა მშენებლობას.

„ახლა გვთხოვენ, რომ ეს 11 მლნ ლარი ვალია ვალად. ეს არის მიზანმიმართული გაკოტრების მცდელობა, რომელსაც სათავეში უდგას უგულავა უკვე რამდენი წელია, „დექსუსის“ და „თბილისის განვითარების ფონდის“ მეშვეობით. ბოლო წერილი, რამაც გვაიძულა აქტიური მოქმედებები დაგვეწყო, ეს იყო ყოფილი პროკურორის ადგილზელი განცხადება, რომ თურმე ეს ფული უგულავას არჩევნებს სმარდებოდა. ახლა უკვე დამტკიცდა, რომ „თბილისის განვითარების ფონდის“ და „დექსუსის“ მეშვეობით „ცენტრ პოინტის“ ქონება წავიდა საარჩევლო კამპანიაზე. ვითხოვთ, გამოიტანონ სარჩელი, სანამ პროკურატურა ამ საქმეს იძიებს“, — აღნიშნა რჩეულიშვილმა. მისივე თქმით, თუ ფონდი სარჩელს არ გაიტანს, მშენებლობა შეფერხდება, რადგან, შესაძლოა, „ცენტრ პოინტის“ ქონება დაფადადდეს.

# კერძო აზრი

**უპარბინული ამბების გაშუქებაში საქართველოს მედიის ტოლ არ უდევს უკრაინული მილიარდების, დღევანდელი ხელი-სუფლების მთავარი ხერხების პორტუგალიკოს მფლობელობაში არსებულ ტელეკომპანია TV-5. ქართული მედია, საკუთარ ქვეყანას ესოდენ გააფთრებით რომ იცავდეს, როგორც უკრაინას, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყვება.**

ჟურნალისტებს არ ჩამორჩებიან ე.წ. პოლიტოლოგები და ექსპერტები, რომელთა ნათქვამში აშკარად მოჩანს ცალსახა, დაუნდობელი ცალმხრივობა რუსეთის მიმართ. რა სიტყვებით არ მოიხსენიებენ ისინი რუსეთის პრეზიდენტსა და ხელისუფლებას და ამ „მოხსენიებით“ აწივლებენ საკუთარ ტენდენციურობას, მიკერძობას, სიძულვილს, რთული თემის ერთ-ერთი მონაწილის, რუსეთის მიმართ.

და როდესაც ბოლმა არის ჩართული, თანაც უკიდურესად, ამა თუ იმ საკითხის განხილვაში, იქ ქემპარიტება ვერ დადგინდება, სიმართლე ვერ ითქმება. იცის ეს ქართველმა მკითხველმა, ტელემყურებელმა და ამიტომაც ზერეულად, უნდობლად უყურებს ახალგაშობილი ჟურნალისტებისა და პოლიტოლოგების „ნააზრალს“, უყურებს, უსმენს და ეჭვი ეპარება მათ მიერ გაუღებულ „სინამდვილეზე“.

თანამედროვე ყოფა იმით მაინც არის ასე თუ ისე გამორჩეული, რომ ინფორმაციის მიღების მრავალ შესაძლებლობას იძლევა. საკმარისია ტელევიზორის პულტზე თითის დაჭერა და ნებისმიერის თვალწინ გადაიშლება მრავალი სურათი, განსხვავებული და გაცილებით ობიექტური ჩვენსგან. შესაძლოა, იქაც მრავლად იყოს გამოჩენილი სიყალბე, მაგრამ აქაურს ვერაფრით შეეპაექრება. რაც მართალია, ტენდენციურობაში, ცალმხრივობასა და სიყალბეში რომ მაგრები ვართ, ფაქტია.

ფაქტია ისიც, თუ ასე გაგრძელდა ადგილობრივი ჟურნალისტების და პოლიტოლოგთა ნაცოდვილარს ფასი დაეკარგება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ნდობა. საზოგადოება აღარ მიიღებს მათ მიერ შექმნილ პროდუქციას, იმპორტულს დასჯერდება. უკვე ასეა, რის დასტურად არაერთხელ მსმენია – ამთა როგორ ვუყურებ (ტელევიზიები აქვთ მხედველობაში), ამათ ნერვებს როგორ დავაგლეჯინებ, უცხოურ არხებზე გადავრთავო.

თუ ტელემყურებლისთვის იოლია სამაშულო წარმოების პროდუქციისაზე უარის თქმა, გაცილებით იოლია უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებისთვის თავის არიდება, ძალიან მარტივი გზით – არ იყიდი და მორჩი. აკი არ ყიდულობენ! საქართველოში ძნელად მოიძებნება ისეთი უურნალ-გაზეთი, ჯიხურში გაუყიდად რომ არ რჩებოდეს. მართალია, ზოგი ქორებით ისაღებს თავს, ზოგიც უპირობო სენსაციით, მაგრამ ასეთ პერიოდებს ხანმოკლე დღე აქვს. მისი „სიცოცხლის“ ხანგრძლივობა პეპლისას ჰგავს.

უკრაინის ამბების ჩვენეულმა გაშუქებაში, სინათლე რომ ვერ მოჰფინა ერთობ მტკივნეულ საკითხს, ცხადია. ისიც ცხადია, რომ ქართულმა მედიამ ბევრი „იჩაღის“ ჩვენში რუსეთის ისედაც ცუდი იმიჯის კიდევ უფრო გაუარესებაზე, „იჩაღის“, მაგრამ... ხშირ შემთხვევაში უკურე-აქცია გამოიწვია. ხვდებიან ამას ადგილობრივი ჟურნალისტ-პოლიტოლოგები?

პოლიტიკოსებზე აღარაფერს ვამბობ. არა, ნამდვილად ვერ ხვდებიან, ვინაიდან ისინიც მათივე ტელეკოლეგების ცრუ ინფორმაციის ბადეში არიან გახვეულნი. დაუშვამთ ამას საქართველოში მოქმედი და აშშ-ის ჭკუასა და ფულზე დამყნობილი არასამთავრობის ღრმადფალსივიტირებული განცხადებები და გვექნება – „ქემპარიტება“ სალ კლდეზე მაგარი, თუნდაც ასეთი:

**„ცივილიზებულ სამყარო, მაქსიმალურად ედევნა, თვითონ აიცროს პირდაპირი კონფრონტაცია ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოსთან. მით უმეტეს, როდესაც ისეთი უპასუხისმგებლო ადამიანები სხედან იმ სახელმწიფოს სათავეში, როგორც ბატონი პუტინი და მისი გარემოცვა. დარწმუნებული ვარ, რომ გამოსავალი მოიძებნება და რუსეთს ეს არ შერჩება“**, – აცხადებს გეოპოლიტიკური კვლევის ცენტრის თავმჯდომარე თენგიზ ფხალაძე.

მაინც რამდენი კვლევის ცენტრი, ინსტიტუტი და მსგავსი სახის არასამთავრობო შექმნა ამ დალოცვილმა ამერიკამ? თანაც ყველა მათგანი – ერთი ჭკუით და ერთი ტერმინოლოგიით შემკულ-აღჭურვილი?

**პუტინის და რუსეთის დამცველად არ გამოვდგები, მაგრამ როდესაც „ექსპერტისგან“ ესოდენ დამამცირებელ მოსაზრებას ისმენ მეზობელი სახელმწიფოს ხელმძღვანელზე, როგორც მე, ისე სხვას უმალ დაგვებადება კითხვა – რატომ არის პუტინი უპასუხისმგებელი და თუ არის, ეს მისი თანდაყოლილი თვისებაა თუ შექმნილი? თუ შექმნილია, რით არის ეს გამოწვეული, რამ აიძულა ის იყოს ასეთი?**

ბირთვული სახელმწიფოს პირველი პირის უპასუხისმგებლობა უმძიმესი რამ არის არა მარტო მისთვის და მისი ქვეყნისთვის, მსოფლიოსთვის. ასეთს, ფხა-

ვროპის სახელმწიფოებს ნატოს სამხედრო ბლოკში, რომ დასავლეთი არამც და არამც არ მიუახლოვდებოდა ნატოს სახით საბჭოთა საზღვრებს.

ვიყოთ გულწრფელი და მიუკერძოებლად ვთქვათ – შეასრულა თუ არა აშშ-მა ვერბალური დაპირება?! ცხადია არა! „ფაფუკი“, „თავანჯარა“, „დემოკრატი დასავლეთი“ ყოველთვის იყო ის, რაც დღეს არის. მის დაპირებას აზრი არ აქვს, ვინაიდან თქმასთან ერთად იგინეებს. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც უკრაინაში, 21თებერვალს გაფორმებული დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, უკრაინის მაშინდელი ოპოზიციური „ტროიკა“ – კლიჩკო, იაცენიუკი და ტიაგნიბოკა და უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტი იანუკოვიჩი. ამ

არ შეგბია, მაგრამ „ფუნქულამ“ და „დე-მოკრატმა“ ამერიკამ, საკუთარი ჰეგემონისტური მიზნებისთვის შავ დღეში ჩაჰყარა ისინი.

დღესაც მიდის ომი ავღანეთში, დიდი მსხვერპლითა და ნგრევით. ავღანეთის ფეხზე დაყენებას ათეული წელიწადი დასჭირდება, ისე, როგორც ლიბიის, ერაყის, სხვების და ეს ყველაფერი ვაშინგტონის პოლიტიკოსთა წყალობით.

ვაშინგტონი, სწორედ ის ბირთვია, სადაც პერმანენტულად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის ექსპერიმენტის შემუშავება და შემდეგ ამა თუ იმ ქვეყანაზე გამოცდა. ვაშინგტონური გამოცდის ობიექტად არის ქვეყნული პოსტსაბჭოთა სივრცე. რა სახის რეგულაციები არ მოაწყობს ვაშინგტონმა აქ – „ვარდების“, „ნარინჯის“, „ტიტების“ და ა.შ. ამჯერად ულტრანაციონალისტურს აწყობს უკრაინაში, რომლის მიზანი მარტივია – რუსეთისთვის, უკრაინის ჩამოშორება, რუსეთის წინააღმდეგ უკრაინელთა ამხედრება, ორ ძმას შორის ისეთი შულღისა და მტრობის დათესვა, სამარადისოდ რომ გადაჰყიდებს მათ ერთმანეთს. მიზანი? რუსეთის წელში გატეხვა, დაშლა და მისი წიაღისეული სიმდიდრეების ხელში ჩაგდება. და როდესაც ასეთს აქვს ადგილი, რუსეთის პრეზიდენტს არ შეიძლება ჰქონდეს უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მოვლენებისადმი.

პუტინის „უპასუხისმგებლობა“ სწორედაც უპასუხისმგებლობაზე, ქვეყნის გადარჩენაზე გადის. სხვაგვარად ის ვერ მოიქცევა. სხვაგვარად მოქცევა ლალატის ტოლფასი იქნება, ანუ იქნება ისეთი უხერხემლო, როგორც იყო უკრაინის პრეზიდენტი იანუკოვიჩი. ეს ის პრეზიდენტი, რომელმაც იოტისოდენა სიმპათია და მხარდაჭერა ვერ პოვა ვერც დასავლეთ, ვერც აღმოსავლეთ უკრაინაში.

**„რუსეთი არის არაპროგნოზირებადი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოსგან ყველაფრის მოლოდინი შეიძლება. რასაც ჩვენ ვხედავთ, დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან ამ ბოლო პერიოდში არის ყველაზე მწყობრი პოლიტიკა. მართლაც, რჩება იმის შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი ცდილობს, პასუხი გასცეს რუსეთს“**, – ბრძანებს ფხალაძე.

უდავოდ, დასავლეთს რომ მწყობრი პოლიტიკა აქვს რუსეთის მიმართ, მტკიცება არ სჭირდება. ვილნიუსის სამიტიდან დღემდე, ევროკავშირის მაღალჩინოსნებს, ისე, როგორც აშშ-ის პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს, დღე არ ჩაუგდებათ, უკრაინის ულტრანაციონალისტური წრეების გამოკვება-გამოწვრთნის საქმეში. და, რაც მთავარია, ანტირუსულად გადაგვარების მცდელობაში. რაც მართალია, მათ მოახერხეს ეს.

საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა ოფიციალური თბილისი, რომ მისთვის დასავლეთ საქართველო ჩამოეჭრათ?

მართალია, უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ ვინ თქვა, რომ უკრაინელსა და რუსს შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც ინგლისელსა და ჩინელს ან ფრანგსა და გერმანელს შორის? უკრაინიდან, კვივის რუსეთიდან იწყება რუსეთის ისტორია.

რუსმა პოლიტიკოსებმა დაუშვეს უკრაინის დამოუკიდებლობა, მაგრამ არა მტრობა, არა საკუთარ თავზე დამიზნებული აშშ-ის რაკეტასწინააღმდეგო სისტემების განთავსება.

რუსმა პოლიტიკოსებმა დაუშვეს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა და ბელოვეის მოლაპარაკების დროს სიტყვაც არ დაძრეს 1954 წელს სრულყოფილი უკრაინისთვის მსუყვე საჩუქრის – ყირიმის უკან დაბრუნებაზე.

რუსეთის ხელისუფლებამ ზომამდე მეტი დამთმობი ნაბიჯი გადადგა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, რასაც დაფასება ესაჭიროებოდა. ნაცვლად ამისა, მან მიიღო ანტირუსული პოლიტიკა, დასავლეთიდან გაღვივებული, ულტრანაციონალისტური გამოხდომები, ასევე დასავლეთიდან ნაქმეზული.

**როგორც ჩანს, „უპასუხისმგებლო“ პუტინის მეტის ატანა არ შეუძლია. მისი მხრიდან, ვითარებასთან შეგუება, გაცილებით მეტი უპასუხისმგებლობა იქნება, ვიდრე ის, რაც დღეს არის.**

**გამელტ შიპაპილი,**  
პოლიტოლოგი.

# „უპასუხისმგებლო“ პრეზიდენტი პუტინი



ლაძის ენით, არ ელაპარაკებიან. ასეთს, უყვავებენ, არ აღიზიანებენ – აქაოდა არ გაბრაზდება და დედა არ გვიტორსო. ფხალაძე კი აღიზიანებს. ჯანდაბას მისი თავი, მაგრამ ჩვენ რას გვერჩის?! ფხალაძეზე გაბრაზებული რუსეთი რომ ჩვენ ანუ საქართველოს დაეტაკება, ხომ ფაქტია? იცა კიდევ, ფხალაძე რომ მხოლოდ ბით რიცხვში იყოს, რა გვიჭირს?! რამდენი ფხალაძეა?!

მაინც რატომ არის პუტინი უპასუხისმგებლო? იქნებ პირიქით? ფხალაძის მიხედვით, რუსეთის პრეზიდენტი იმიტირებს არის უპასუხისმგებლო, რომ უკრაინისგან ყირიმის მოგლეჯას აპირებს.

**„რუსეთი ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ კლანჭებიდან არ გაეჭყვოს სახელმწიფოები, რომლებიც ფაქტურად უკვე გასული არიან მისი ზეგავლენის ზონიდან. ამიტომ, როგორც წესი, ინტერვენციის ფინალური აგონია ყოველთვის საშიშია ხოლმე. სწორედ, ამ ფინალური აგონიის ეტაპზეა ახლა რუსეთი საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში“**, – აცხადებს ექსპერტი.

თუ გავისხენებთ არცთუ შორეულ წარსულს და მოვიტყურად შევფასებთ მაშინდელ მოვლენებს, დავინახავთ, რომ ნატრი დამოუკიდებლობა როგორც საქართველოში, ისე უკრაინასა და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, კრემლიდან მოვიდა. მართალია, რამდენიმე თვით ადრე საქართველოში მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც ხელს მეც ვაწერ, მაგრამ ნამდვილი დამოუკიდებლობა მაშინ გვცვდა წილად, როდესაც საბჭოეთის პირველმა პირმა, პრეზიდენტმა გორბაჩოვმა გამოაცხადა დიდი იმპერიის დაშლა, თან გზა დაგვილოცა დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ.

საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის პრეზიდენტმა გამოკვეთილად აღნიშნა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის თაობაზე, ცნო მათი ახალი სტატუსი და დიპლომატიური ურთიერთობებიც დაამყარა მათთან.

ყოველივე აღნიშნულს კი წინ უსწრებდა აშშ-ის და საბჭოთა კავშირის ლიდერების არაერთნაირი მოლაპარაკება და ვერბალური შეთანხმება, რომ სოციალისტური ქვეყნების ბანაკის დაშლის შემდეგ, დასავლეთი არ ჩაითრევდა აღმოსავლეთ

ხელშეკრულებას 24 საათიც არ უარსებია, ისე მოხდა შეიარაღებული გადატრიალება.

კრემლმა, არათუ აშშ და მთელი დასავლეთი შეიპირა აღმოსავლეთით ნატოს არგაფართოებაზე, არამედ თანხმობაც განაცხადა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საკუთარი სამხედრო ბაზების გაყვანაზე, ოღონდ ერთი პირობით – რომ იქ სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზები არ განლაგდებოდა. რაც შეეხება ყირიმს – უკრაინასთან გაფორმდა ხელშეკრულება, იქ რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზის დატოვების თაობაზე, რამაც რუსეთი ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს გადაიხდიდა.

ვიყოთ გულახდელი და ობიექტურად ვთქვათ, ვასრულებთ ჩვენ დაპირებას?!

მართალია, საქართველოში ჯერჯერობით სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზა (გარდა რუსეთისა) არ განთავსებულა, მაგრამ არც არაფერი აკლია. რუსეთის ნერვების მოსაშლელად განუწყვეტილად ვლადიმერ პუტინის ხელში შესვლაზე; ჩართული ვართ ნატოს არაერთ პროგრამაში; სისტემატურად ვმასპინძლობთ ნატოელ სამხედრო ექსპერტებს; ვმონაწილეობთ ნატოს სამხედრო ოპერაციებში ერაყში, ავღანეთში, უახლოეს მომავალში – ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში; გულის ფანცქალითა და ენის ჭარბი ტლიკინით ველოდებით ნატოს სამიტზე „მაპის“ მონაწილას და ა.შ., რითაც აშკარა გამოხვევას ვუკეთებთ რუსეთს და მის „უპასუხისმგებლო“ პრეზიდენტ პუტინს.

**უფრო მეტიც, საქართველომ, ცხადია, აშშ-ის გარკვეული წრეების პირდაპირი თუ ირიბი ნაქმეზებით, 2008 წლის აგვისტოს, რუსეთზეც ასწია ხელი. ახლა არ მითხრათ, „ჩაგვიტრიალეს“. ტალიაინის დასკვნაში, რომ სიტყვა „ჩაბრევა“ არ არის?!**

საინტერესოა, რას მომიტყმედებდა ამ შემთხვევაში დიდი და ძლიერი სახელმწიფო, თანაც ბირთვული იარაღის პატრონი? თავზე ხელს გადაგვისვამდა და გვეტყოდა – კარგი ბიჭები ხართო? რა უთხრა აშშ-მა ერაყს, ავღანეთს, იუგოსლავიას, გრენადას, პანამას, ლიბიას. ან რას ეტყოდა კუბას, ნიკარაგუას, საბჭოთა კავშირი რომ არ ყოფილიყო? არც ერთი ჩამოთვლილი ქვეყანა იარაღით არ შეგბია ამერიკას ისე, როგორც ჩვენ, რუსეთს.

ფულადი გზავნილები

შრომითი მიგრანტების საკითხი მთელ მსოფლიოში უაღრესად აქტუალური თემაა, რომელსაც უამრავი პრობლემური მხარე ახლავს როგორც თავად უცხოეთში ლუკმა-პურის საშოვნელად წასული ხალხისა და მათი ოჯახებისთვის, ისე მიმღები ქვეყნებისთვისაც.

მრავალი ევროპული ქვეყნის მოსახლეობისთვის ევროკავშირში განვრცობის სწრაფვა სწორედ შრომის ბაზრის გახსნას, გაერთიანების ქვეყნებში სამუშაოს შოვნას უკავშირდება. ამ დროს, ცხადია, მათი ოჯახები მეტად ცუდ მდგომარეობაში არიან ხოლმე, როცა, ვთქვათ, ერთ-ერთი მშობელი, ანდა ზრდასრული შვილი წლების მანძილზე საზღვარგარეთ ცხოვრობს და ოჯახს სარჩოს იქიდან უგზავნის. ბუნებრივია, ყველა ქვეყანა შრომითი მიგრანტების ნაკადის გაკონტროლებას ცდილობს, თუმცა, ამის სრულფასოვნად განხორციელება ხშირად ვერ ხერხდება. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შრომითი მიგრანტების მიერ თავიანთი ახლობელ-ნათესავებისთვის გამოგზავნილი სავალუტო სახსრები, გარდა იმისა, რომ ამ უკანასკნელთა შედარებით ნორმალურ პირობებში ცხოვრების მთავარი საძირკველია, მიმღები ქვეყნების (მეტადრე განვითარებადის და, ცხადია, უფრო მეტად, ლარების) ეკონომიკისთვის დიდი მნიშვნელობის მქონეა, რადგან ვალუტის შემოდინების სერიოზული წყაროა. ასეთი ქვეყნების რიცხვს ბოლო ორ ათეულ წელზე მეტი ხანია საქართველოც მიეკუთვნება: ჩვენში შრომითი მიგრანტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გამოგზავნილი ფულადი გზავნილები, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, უაღრესად დადებითი ზეგავლენის მქონე ფაქტორია.

საქმე ისაა, რომ უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილები, პირდაპირ ინვესტიციებთან და ექსპორტისგან მიღებულ სახსრებთან ერთად, ეროვნულ ვალუტის მეტ-ნაკლებ სტაბილურ კურსს უზრუნველყოფს. ფულადი ნაკადის შემოდინება, საქართველოდან შრომითი მიგრანტების რიცხოვნობის შესაბამისად, წლიდან წლამდე მატულობს: მარ-



რამდენს ვიღებთ, რამდენს გავსავთ

ტო 21-ე საუკუნეში, 2000-დან 2013 წლის ჩათვლით, ქვეყანაში მიღებული ფულადი გზავნილების მოცულობა 23-ზე მეტად გაიზარდა. თუ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გარკვეულ შედეგს, კერძოდ, უცხოელ ინვესტორთა გაზრდილ „მომჭირნობას“ და საქართველოს წლების მანძილზე მშფოთვარე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას გავითვალისწინებთ, შრომითი მიგრანტების მიერ გამოგზავნილი სავალუტო სახსრები წარმოშობილ დეფიციტს ნაწილობრივ მაინც ავსებენ. კერძოდ, ათი წლის წინათ შრომითი მიგრანტების მიერ საქართველოში განხორციელებული ტრანზაქციები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოცულობას ორნახევარჯერ ჩამორჩებოდა, შარშან კი ეს შეფარდება 1,4-მდე შემცირდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შრომითი მიგრანტთა მიერ საქართველოში გამოგზავნილი

სახსრები საკმაოდ დიდი ოდენობისაა, მათი ზეგავლენა ქვეყანაში საინვესტიციო გარემოზე, ფაქტობრივად, არანაირი არ არის, რადგან ამ ფულის ძირითადი დანიშნულება მიმდინარე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა. ფული უმთავრესად, პირველადი მოხმარების საგნებსა და საკვებზე იხარჯება, რომელთა უდიდესი ნაწილი იმპორტულია და შესაბამისად, ამ თანხების სოლიდური ნაწილი ისევე უცხოეთში გაედინება. ადგილზე შედარებით მცირე ნაწილი, ვთქვათ, კომუნალური გადასახადების თანხები რჩება, თუმცა, იმასაც თუ გავისხვინებთ, თუ ვინაა ენერგოშემცველთა და სასმელი წყლის მონოპოლისტები, იმასაც ადვილად განვსაზღვრავთ, რომ ამ ფულიდან მნიშვნელოვანი ნილი, წმინდა მოგების სახით, კვლავ ქვეყნიდან გადის. და კიდევ, შრომითი მიგრანტებისგან მიღებული სახსრების ნაკადის ზრდა მა-

საში არა იმდენად უშუალოდ მათი ეკონომიკური კეთილდღეობის ამალგებაზე, რამდენადაც მათი რიცხოვნობის ზრდაზე მიუთითებს, რასაც სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს.

შრომითი მიგრანტთა თემაზე უწინდელ პუბლიკაციებშიც არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ საქართველოში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების ლომის წილი (90 პროცენტზე მეტი) მსოფლიოს თორმეტ ქვეყანაზე მოდის. მათ შორის არიან რუსეთი, რომლის წილად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, წლეულს იანვარში მთლიანად მიღებული 98,7 მილიონი დოლარიდან 46,6 მილიონი დოლარი მოდის, მეორე ადგილზეა საბერძნეთი (14,9 მილიონი დოლარი), მერე იტალია (9,2 მილიონი დოლარი), ამერიკის შეერთებული შტატები (5,5 მილიონი დოლარი) და უკრაინა (3,7 მილიონი დოლარი). ათეულში ასევე არიან თურქეთი (3,4 მილიონი დოლარი), ესპანეთი (2 მილიონი დოლარი), გერმანია (1,6 მილიონი დოლარი), ისრაელი (1,4 მილიონი დოლარი) და გაერთიანებული სამეფო (1,4 მილიონი დოლარი).

უნდა ითქვას, რომ წარმოჩენილი სურათი წლების მანძილზე, უმნიშვნელო კორექტივების გარდა, ფაქტობრივად, უცვლელია: ისევე, როგორც მთელი პოსტსაბჭოური დროის მანძილზე, შრომითი მიგრანტთა უდიდესი ნაწილი (არაოფიციალური ინფორმაციით, დაახლოებით მილიონი კაცი) კვლავაც რუსეთში ცხოვრობს და მუშაობს. შესაბამისად, ფულადი გზავნილების ნაკადის უმეტესი ნაწილი, სწორედ ამ ქვეყნიდან მოდის.

ამასთან, საგულისხმოა საქართველოდან საზღვარგარეთ გაგზავნილი ფულადი სახსრების მაჩვენებელიც, რომელმაც წლეულს იანვარში 12,2 მილიონი დოლარი (დაახლოებით 21,5 მილიონი ლარი) შეადგინა, რაც თითქმის ხუთი მილიონი ლარით აღემატება შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ოთარ ტურაბალიძე

გამოხედავთ: კერძო აზრი

გაქვთ ამ კითხვებზე პასუხი?

„ბოლო ორი კვირის განმავლობაში რუსეთმა საქართველოში 200-კაციანი დესანტი გადმოსხა“ – ასე იწყება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (12.03.14) გოჩა მირცხულავას წერილი „რუსეთმა საქართველოში დესანტი გადმოსხა“.

ამ წერილის სათაურის და პირველივე წინადადების ნაკითხვისთანავე გული შემიქანდა: ისევე ომი ხომ არ იწყება-მეთქი რუსეთთან. ჩემი შიში არ გამართლდა და ელდამაც გამიარა. თურმე რუსეთში მოღვაწე ორასი ქართველი ბუნესმენი ჩამოსულა საკუთარ სამშობლოში და ნაცნობ-მეგობრებთან ქართული წესისამებრ პურ-მარილებიც გაუმართათ. აბა, რას დაგვზაფრა ამ დალოცვილი შვილმა, დესანტი გადმოსხესო. იარაღი დაუნახა ვინმეს, კონსპირაციულ შეკრებაზე წასასწრო თუ რა? იმ დესანტის მნიშვნელოვანი ნაწილი შეხვედრებს ოჯახებში მართავსო, – თვითონ წერს წერილის ავტორი. მაგრამ ეს ხომ დანაშაული არ არის! დანაშაული თურმე ის არის, რაზეც ისინი საუბრობენ, თურმე, სუფრასთან. რას ამბობენ, ნეტავი, ამისთანას? რას და რუსეთის პოლიტიკას აქებენ, ამერიკისას აბაგებენ! „უგინებელი არც მიზა რჩება და არც ობამა. ბოლოს კი ყველა ერთხმად აცხადებს, რომ

პუტინი ბრძენია. მითხარით ახლა, რა ჰქვია ამას? ჩათლახობა? თუ კიდევ უფრო მეტი?“ – ჩვენ გვეკითხება ავტორი.

ბატონი გოჩა მირცხულავა ამ შემთხვევაში მოსამართლე როლია, რომ მის კითხვას კითხვითვე ვერ ვუპასუხო. ჰო და, გვეკითხებით, ბატონო, გოჩა, ავერ ყურისძირში, კარის მეზობელთან დროებით მყოფი ორასი ქართველის ჩამოსვლა თავის სამშობლოში, სანათესაოში, მეზობლის მიერ დესანტის გადმოსხმა და მასწავლებლების ნიღბით, ორიათასი გადამთიელის შემოყვანა ოკეანის გაღმიდან, ჩვენი მოზარდებისათვის ტვინის ასარევად, მაყრიონის მობრძანება? ჩვენი დიდი მეზობელი სახელმწიფოს მეთაურზე, რომელმაც ცალტვირა ელცინის ხელში ორივე მუხლზე დაჩოქილი ქვეყანა ფეხზე წამოაყენა, ბრძენიაო რომ თქვა, ჩათლახობაა, ხოლო თბილისის ერთ-ერთი მაგისტრალი-სათვის წერა-კითხვის მცირე მცოდნის, ამერიკელი პრეზიდენტის ბუშის სახელის დარქმევა და რიყეზე ექსპრეზიდენტ რონალდ რეიგანის ძეგლის დადგმა – რაინდობა? მართლა ასე ფიქრობთ, ბატონო გოჩა?

იქნებ აშშ მიგაჩნიათ სიკეთის სიმბოლოდ და რუსეთი ბოროტების განსახიერებად? ხომ არ დაგავიწყდათ, რომ, ფაქტობრივად, უკვე დამარცხებულ

იაპონიაში, ორი ქალაქი – ხიროსიმა და ნაგასაკი ატომური ბომბებით მინასთან გაასწორეს ამერიკის პრეზიდენტის ბრძანებით. იქნებ ის არის სიკეთე, რაც ერაყში ჩაიდინეს ამერიკელმა „დემოკრატებმა“, ან ის რასაც ახლა სწაიდან ავლანთები? იქნებ ის არის კაი ბიჭობა, „მოლოტოვის კოქტილებითა“ და ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულ მეამბოხეებს მშვიდობიანი მომიტინგეები უწოდო და ხელისუფლების (თუნდაც კორუპტირებულის!) ძალადობით დამხობისაკენ მოუწოდო?

გაქვთ ამ კითხვებზე პასუხები? ძალიან მეუჭება!

„მაპატიონ ჩემმა აჭარელმა მეგობრებმა, ვის გვერდითაც არაერთი ბრძოლა მომიგიაო“, – წერთ თქვენ. ერთი ეს მითხარით, მებრძოლ კაცს, ეკადრება, მთავრობის ძალოვან სტრუქტურებს ამუნათებდეს – რუსეთიდან ჩამოსული ქართველები აქაურ ნათესავებს რომ ხვდებიან, რატომ არ აყურადებთ, რაზე საუბრობენ, რას სთავაზობენ და დაძვედურები რას უპასუხებენო? არა მარტო მიაყურადეთ, არამედ შესაბამისი ზომებიც მიიღეთ! მიყურადებთ-ჩასაფრების ნაქებება და ბეზლობა რა საკადრისია, ბატონო გოჩა?

ზურაბ ცუცშირიძე

იურიდიული კონსულტაცია

რუბრიკას უკლავება „სამართლებელს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირიონ ღლონტი

კითხვა: ვარ მიიმე ავადმყოფი. გასულ წელს დაწესებულების ხელმძღვანელობამ მომცა ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი. გთხოვთ, განმიმარტოთ, მიიღება იგი მხედველობაში დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების დროს? ნიკოლოზ მებრძეშვილი.

პასუხი: ერთჯერადი დახმარების თანხა დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების ოდენობის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება.

\* \* \*

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ბიულეტენის წარდგენიდან რამდენიმე დღეში უნდა მომეცეს კუთვნილი თანხები და საიდან? ძაითო ნარჩიშაშვილი.

პასუხი: მოქმედი კანონით, დამსაქმებელი (დანესებულება) ვალდებულია, საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში ან ანაზღაუროს დროებითი შრომისუნარობის დროს ფურცელი, ან წერილობით შეატყობინოს დასაქმებულს, რა მიზეზით ეთქვა უარი დროებითი შრომის უუნარობის გამო დახმარების გაცემაზე.

\* \* \*

კითხვა: ორი დღის წინ, ავტობუსით მგზავრობის დროს ჩანთიდან ამომაცალეს საფულე, რომელშიც მელო შრომის წიგნაკი, სადაც მთელი ჩემი 36-წლიანი შრომითი საქმიანობა იყო აღნიშნული, როგორ მოვიქცე, რომ შრომის წიგნაკი აღვადგინო ან შრომის სტაჟი სხვა გზით დავადასტურო?

ნათილა ვაშაძე.

პასუხი: შრომის წიგნაკის დაკარგვის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ აღნიშნული ორგანო დაადასტურებს წიგნაკის დაკარგვის ფაქტს, მათ მიერ გაცემული საბუთის საფუძველზე, ორგანიზაცია, რომელშიც ბოლოს მუშაობდით, გასცემს შრომის წიგნაკის დუბლიკატს, რომელსაც იგივე ძალა აქვს, რაც დედანს. თუ აღნიშნული ვერ მოხერხდება, შეგიძლიათ შრომის სტაჟი აღიდგინოთ საარქივო მონაცემების საფუძველზე გაცემული ოფიციალური ცნობებით.

595 05 11 77; 593 35 99 09.

ინფორმაცია

ვის სურს ვიზა დიდ ბრიტანეთში?

დიდი ბრიტანეთის საგარეო ცენტრები თბილისში მისამართს იცვლიან. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დიდი ბრიტანეთის საელჩოდან აცნობეს.

დედაზუნა

თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების ღირებულების ზრდა

თბილისის საზღვრებში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიის გასხვივება და მასში მშენებლობის განხორციელება შესაძლოა, აიკრძალოს.

დედაინის ზურგზე



შირიშის მცხოვრებთა 96,77 პროცენტმა რეზიგნაციულად მიიღო გადაწყვეტილება და დატოვა შირიში.

კაკალ გულში

წერტილოვანი ურავები

კახი კახიშვილზე დაიწყო ახლა, მერობის კარგი კანდიდატი. ადრე პროკურორობისთვის ამზადებდა იგივე ხალხს, მაგრამ „ზემოთ“ სხვანაირად გადაწყვიტეს...

- ადგილობრივი დემოკრატიის უფლებებს იყენებს და სკაიპში კითხვებს მართლ სმარტული უპასუხებს.
- წარმომადგენელი ნაციონალური მოძრაობის წევრები რომ მოსულიყვნენ ხელისუფლებაში და „ოცნებას“ ამდენი დანაშაული ქონდა ჩადენილი, რა დღეში ჩააგდებდნენ. ჯერ გარდაცემულ არ დატოვებდნენ არავის და ვისაც არ დაიჭერდნენ, ხმას არ ამოაღებინებდნენ.



ნერგავების ვებარათი კავშირის 2013 წლის ფინანსური ანგარიში

„კავშირის“ 2013 წლის შემოსავალია 23893.40 ლარი, ნაშთის ჩათვლით შემოსავალია 26785.02 ლარი.

Table with 6 columns: აქტივები, წლის დასაწყისში, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, პასივები, წლის დასაწყისში, საანგარიშო პერიოდის ბოლოს. Rows include 'მიმდინარე აქტივები', 'სასაქონლო მატერიალური მარაგი', 'გრძელვადიანი აქტივები', and 'სულ აქტივები'.

რეპო მშენებლობა, თავმჯდომარე, ციციანო პანაშვილი, ბუღალტერი.


ბანსხადება

2014 წლის 8 მაისს 12 საათზე შპს „SMAILE MIX“-ის ოფისში (მისამართი: ქ. თბილისი, ჭირნახულის ქ. №4-6) შედგება ლაქსალები დასარგავების საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საჯარო განხილვა.



პუტინი არ დარდობს რუსეთის „დიდი რვიანიდან“ შესაძლო გამორიცხვას, განაცხადა პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა.

ჩილში მიწისძვრისა და შესაძლო ცუნამის გამო 100 ათასი კაცის ევაკუაცია მოხდა.



სიფრთხილის ასეთი ზომები მიიღეს შესაძლო ცუნამის გამო. მიწისძვრა კი, რომლის მაგნიტუდაც 6,5 იყო, მოხდა წყნარ ოკეანეში დაახლოებით 60 კილომეტრის დაშორებით ქალაქ იკიკის სანაპიროდან.

ირანმა სირიაში მოწვევით მისი რეზიგნაციული განცხადება მიიღო.



შაბათ-კვირის ჩანაწერები

ნუ „ქაჯობთ“, თავი დაიფასეთ, ქართველებო!

ბიბისი ვართ მომსწრე, თუ როგორ გადადის, ხშირად, ქართული სტუმართმოყვარეობა, უკაცრავლი პასუხია და, „ქაჯობაში“ — გვაფინანსებენ ჩვენი წარსული, ჩვენი ერის სიდიადე და ფეხქვეშ ვეგებით ათას ჩამოსულს, რომელიც, მერე, ჩადის თავის სამშობლოში და ჩვენზე შავირობს, მთელი ორი კვირა, თბილისის რესტორნებში ჭერს შევცქეროდით... მოკლედ, როგორც იმერეთში იტყვიან, ნამეტანი ვიცით!

აბა, რა იყო ეს, ამ დღეებში, თან რომ გადავყვებით, თურქ მწერალ ორჰან ფამუქს? კი, ბატონო, „მოდნი“ რომანისტი, ნობელის პრემიაზე კი დაიმსახურა ამ რამდენიმე წლის წინათ, მოკლედ, სახელ-დიდება არ აკლია, მაგრამ შენ, ქართველო, ვინ ხარ ამ დროს?!

კი ბატონო, შემოვატარეთ ძველი თბილისი და მცხეთა, ორჰან ფამუქს „ქართულად“ ვუმასპინძლეთ, ალბათ, კმაყოფილიც დარჩა თურქი მწერალი, რომელსაც სატელევიზიო ინტერვიუში ნელ-ნელად შეჰხედეს, თქვენს რომან „თოვლში“, ქართველები პოზიტიურად არ გყავთ დახატული. ნობელიანტი მწერალი იქ, ერთ ადგილას წერს, რა სიბინძურეში ცხოვრობს ქართველი ცოლ-ქმარი სარდაფში... არადა, ეს ცოლ-ქმარი, ბედის უკუღმართობით, თურქეთშია ჩასული ლუკმაპურის საშოვრად.

— მეო, დაახლოებით ასე უპასუხებს ტელეკორესპონდენტს ორჰან ფამუქი, კარგს კარგს ვარქმევ და ცუდს — ცუდს... მოკლედ, გულმხურვალედ და სიცილ-სიცილით მთავრდება ეს ტელეინტერვიუ... სვალ-ზეგ კი, როგორც თვითონ ამბობს, ბევრ რამეს დანერს საქართველოზე, უპირველესად ფიროსმანზე იტყვის თავის სათქმელს...

— თითქმის ყველა მისი რომანი მაქვს წაკითხული, — ამბობს პოეტი დავით შემოქმედელი, — აღსანიშნავია, რომ რომანში „მე წითელი მქვია“, ფამუქი თურქეთში ჩასულ ემიგრანტებს არც მთლად აღმატებულ კონტექსტში ახსენებს მათი ეროვნული წარმომავლობის მიხედვით, სადაც, მაგალითად, ქართველები და მეგრელები ცალკე ერებად არიან მოხსენიებული. ამ რომანის და ერუდიციის დიდი მწერალი კი, სწორედ-დაც ვალდებული იყო, თავისი მოსაზრებები ქვეყნის ისტორია სცოდნოდა, მით უმეტეს, რომ მის ქვეყანასთან ჩვენ ბედმა გადაგვაჯაჭვა.

— მოკლედ, ასეა თუ ისე, ნუ გადავირევი „ნობელიანტებზე“, ქართველებო! ჩვენ ხომ რუსთაველისა და თვალდაშრეტილი ფშაველის მშობელი ერის შვილები ვართ!..

„ქართულმა ენამ“ ნუგზარ შატაიძე გამახსენა

ბაპატიონილებს ამზადებს ანანო — ჩემი მეოთხეკლასელი შვილი შვილი. ვეკითხები, რახან გასეირნებას ვაპირებთ, — ბევრი დაგრაჩა ბაბუ?

- აი, „ქართულ ენასაც“ ნავიკითხავ, მერე მოკლე შინაარსს დავწერ და მორჩა...
— ქართულში რა გაქვს სამეცადინო?
— ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მართლმსაჯულების ზარი“.

— ნუგზარ შატაიძის?! კაი კაცო! ქართული ენის სახელმძღვანელოში შეუტანიათ?! აბა, მანახე, ბაბუ! ანანო სახელმძღვანელოს მანვედის. ვკითხულობ: „ნუგზარ შატაიძე, „მართლმსაჯულების ზარი“ (ძველი თქმულების მიხედვით).

— ოოო... იცი, ბაბუ? ნუგზარი ჩემი მეგობარი იყო, რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა... მე მაქვს მისი ნაჩუქარი მოთხრობების კრებული... განახე მერე... ანანო გაფართოებული თვალებით მიყურებს, მერე მეცადინეობას განაგრძობს, მე კი ნუგზარზე ფიქრი მეძალბა:

ერთმანეთი, მგონი, დათო ჭელიძემ გავაცანო. ნუგზარი გაზეთ „ლელოში“ მუშაობდა, სადაც ხშირად იბეჭდებოდა ხოლმე მისი ჩანახატები ქართული სპორტის გამოჩენილ მოღვაწეებზე, მეტადრე, მოჭიდავეებზე. შორიდან ვიცნობდი კიდევ ნუგზარს, ნაკითხული მქონდა მისი მოთხრობები უფროსი „ცისკარში“, სადაც ნათლად იგრძნობოდა მისი მწერლური ნიჭიერება, ქართული (ქართლური) სიტყვის, ფრაზის მიმოხერხის მაღალი, საინტერესოდ თხრობის უნარი, რაც, ზედმიწევნით გამომჩნდა მოგვიანებით, ამ რამდენიმე წლის წინათ, მისი ქართული კინოსერიალების („ცხელი ძალი“, „გაღმა ნაპირი“) სცენარებზე მუშაობისას.

...არც ეგრევა საქმე, წიგნს აღარ კითხულობენო, რომ გავიძახი. წასაკითხს, იცოცხლეთ, კითხულობენ, ტელევიზიის რომელიმე არხზე გავარდებოდა ხმა, ვინ, რისი მაქნისია, და, მეტადრე ახალგაზრდები, უმაღლესი მოიძვენ მავანი და მავანი მწერლის აღიარებულ ნაწარმოებს. ნუგზარ შატაიძის პროზაზე უმაღლესად საყურადღებო. იგი უზადოდ ხატავდა ქართლის პეიზაჟებს, მშობლიური გარემოს მკვიდრ კოლორიტულ ადამიანებს, რაც, მე პირადად, რეზო ინანიშვილის უზადლო პროზას მაგონებდა.

შეხვედრისას ერთიანად გაეხსნებოდა ხოლმე შავ-გვრემანი, პირქუში სახე, მოიკითხავდა „ჩვენს შენობაში“ (გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში) შემორჩენილ ნაცნობ-მეგობრებს... „კინოსახიობობა და-გინყია... რომ იცოდე, მანდაც მაგარი ხარ!“ — შევაგებე ერთხელ „ხარება და გოგიას“ ნახვის შემდეგ, სადაც ნუგზარი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს... „კარგი რა... შემაცდინა გიორგი შენგელიამ... შენ ის მითხარი, ხომ არ შევიდეთ აგერ, „სახინკლეში“.

„არა, არა!.. გავრბივარ რაღაც საქმეზე!“ იგი თავისი გზით ნავიდა... ნავიდა და ნავიდა... დარჩა შემოქმედება — ნაღდი, ღონიერი, ნიჭიერებით მორთული... 9 მარტს 70 წლისა გახდებოდა ნუგზარ შატაიძე, ჩემი ანანოს ქართული ენის სახელმძღვანელოში შემთხვევით რომ შემხვდა, მე კი უკვე რამდენიმე დღის წინათ მქონდა დალეული მისი ხსოვნის სადღეგრძელო.

ჩხარელის სელსგავიანი შემოდგომა

თურმე, კარგად არ მცნობია გიზო ზარნაძე, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, უნივერსიტეტის სტუდენტობიდან რომ მოვიდინარ და დღესაც, უკვე ხანშიშესული, სიამოვნებით რომ ვსვამდებით ერთმანეთს.

არ მცნობია... გასულ კვირას თავისი ახლახან გამოცემული ორი წიგნი მაჩუქა გიზომ. ავტოგრაფიულია ეს წიგნები და ველარ მოვწყედი, ზედმიწევნით გავიცანი ერთ დროს შესანიშნავი ტელეჟურნალისტი და ბევრი კარგი მოთხრობის ავტორი — იმერეთში, მშვენიერ ჩხარში დაბადებული და გაზრდილი კაცი.



თავიდან ნამეტანი ნდომება მსახიობობა ჩხარის სკოლადამთავრებულს და სერგო ზაქარაიძის პროტექციით მარჯანიშვილის თეატრში აუყვანიათ სტატიისად, მომავალი მსახიობისთვის სამხედრო სავალდებულო სამსახურს მოუსწრია და წასულა კიდევ — კიევის სამხედრო სასწავლებელში ჩაურიცხავთ, მიუღწე-



ვია ლეიტენანტობამდე და ქართულ ნაციონალურ დივიზიაში მოხვედრილა. ამხანაგ ნიკიტას ბრძანებით, ეროვნული დივიზიები რომ დაუშლიათ, ჩამოსულა გიზო სამშობლოში, 1956 წლის 9 მარტს ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის წინ სტალინისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაუკითხავს და ძლივს გადარჩენილა დაპატიმრებას. უხეტიალია აღმა-დაღმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარულს — 1962 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩაუბარებია მისაღები გამოცდები და აქედან მოდის და მოდის გიზო ზარნაძე ჩვენს თვალწინ ოფიცრობიდან მწერლობაში გადაბარგებული (სხვათა შორის, ჯერ კიდევ სტუდენტმა, 1965 წელს „ნაკადულის“ კონკურსში გაიმარჯვა მოთხრობისთვის „ჩემი ყავარჯიანი მამა“).

წიგნები, რომელთაც, როგორც გითხარით, კვირა დღე გამატიარებინეს, შარშან გამოუცია გიზოს თავისი დაბადების 80 წლისთავზე. ერთ-ერთი, ბარე 500-გვერდიანია, „ჩემი შემოდგომა“ ჰქვია და, მასში, თითქოსდა, შეჯამებულია დღეს უკვე ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის 60-წლიანი შემოქმედებითი ცხოვრება. ლიტერატურული წერილების, ესეების, ჩანაწერების, მოგონებების, პამფლეტების და პაროდების ამ მრავალფეროვანმა კრებულმა იმითაც დამაინტერესა, რომ ბევრი ჩემთვის ძალზე ძვირფას და ახლობელ ადამიანზე წერს გიზო და მაღალნიჭიერად ხატავს ამ ადამიანების ხასიათსა და საქმიანობას.

მეორე წიგნი გაცილებით მომცროა. იგი მხატვრული ნაწარმოებია, „გაბიაშვილი“ ჰქვია და გიზოს ჩხარში გატარებული ყრმობის ამბებს დამაჯერებლად მოგვითხრობს. ეს თხრობა ხან სევდიანია, ხან შეზავებული იმერული იუმორით, რომელიც, როგორც მისმა მეგობრებმა და მეიტხველებმა კარგად ვიცით, უზომოდ აქვს მომადლებული ჩვენს მეგობარს.

ვითომ, შეაჯამე ცხოვრება, ჩხარელი? არამც და არამც! ქართული სიტყვა ხომ შენი სიცოცხლეა, ჰო-და, კვლავაც ეფერე მას!

ვილან მარდალიაშვილი

ამერიკული „გაგულიდან“

ბიჭი და თოჯინა

10 წელიწადია, ამერიკაში, კერძოდ ნიუ-იორკში, გამოდის ქართულენოვანი „მამული“, რომელიც თავდაპირველად გაზეთის სახით ვრცელდებოდა, ამჟამად კი კარგად ილუსტრირებული ჟურნალია.



ამ გამოცემის დამაარსებელი და თავგაცია ნიჭიერი ქართველი ჟურნალისტი მანუჩარ კაჭახიძე, რომელიც, ამავე დროს, „მამულის“ მიერ გამოცემული როგორც საკუთარი, ისე სხვების ბევრი საინტერესო წიგნის ავტორი და რედაქტორია. გთავაზობთ მის ერთ-ერთ პუბლიკაციას ჟურნალ „მამულის“ საიუბილეო, მეთექვსმეტე წლისთავისადმი მიძღვნილი ნომრიდან.

ერთხელ, მალაზიაში ყოფნისას ჩემი ყურადღება მიიპყრო პატარა ბიჭუნამ. დაახლოებით 6 წლის იქნებოდა. ხელში ჩაებღუჯა თოჯინა. მოლარე კი მას დაჟინებით უშეორებდა:

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ შენი ფულით ამ თოჯინას ვერ იყიდო. უცებ, ბავშვი მომიბრუნდა და მკითხა: თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს ფული მართლაც არ არის საკმარისი?

ლიმილით დავუთვალე ფული. — ბიჭუნა, მოლარე მართალია, ეს ფული მართლაც არ გეყოფა, რომ ეს თოჯინა იყიდო, — ვუთხარი მე, მაგრამ ამის მიუხედავად, ბიჭი ხელიდან არ უშვებდა სათამაშოს. მისმა სიჯიუტემ გამაკვირვა... დარწმუნებული იყო, რომ საკმარისი ფული ჰქონდა... ისევ მივუახლოვდი და ვკითხე, მაინც ვისთვის უნდოდა საჩუქარი?

— თოჯინა ჩემს დაიკოს ძალიან მოსწონდა და უნდოდა, რომ მისთვის ეყიდათ... მე ძალიან მიწოდდა დაბადების დღისთვის მეჩუქებინა... ახლა კი, დედა უნდა გავატანო მასთან... ჩემი და ღმერთთან წავიდა... მამა ამბობს, რომ დედაც მალე წავა ღმერთთან, ამიტომ ვიფიქრე, ვუყიდე და მას გავატანდი... იქნებ გადასცეს...

გულსიცემა ლამის გამიჩერდა. ბავშვმა ისევ ამომხედა: — მე მამას ვთხოვე, დედა არ გაუშვას ჩემს დაბრუნებამდე.

შემდეგ მან მაჩვენა ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი იყო მისი სახე... ლიმილიანი და ბედნიერი.

— მე მიწადა, რომ ეს ფოტოც გავატანო დედას. არ მიწადა დაიკოს დავავიწყდე! — მცირე პაუზის შემდეგ მან დაამატა: — მიყვარს დედიკო და არ მიწადა, რომ დამტოვოს, მაგრამ მამა ამბობს, რომ ის აუცილებლად უნდა ნავიდე ჩემს პატარა დასთან.

შემდეგ ისევ შეხედა თოჯინას ნალვლიანი თვალებით.

მე სასწრაფოდ ამოვიღე ჯიბიდან საფულე და შევთავაზე ხელახლა გადაგვეთვალა მისი ფული.

— შენ ხომ გჯერა, რომ გაქვს საკმარისი ფული? — ვკითხე მე.

— კი, მე გჯერა — თავი დამიქნია.

მისგან შეუმჩნევლად დავამატე ფული და გადათვლის შემდეგ ვუთხარი, რომ ის არ ცდებოდა და მართლაც შეეძლო ეყიდა თოჯინა.

ამის გაგონებაზე ბავშვმა თქვა: მაღლობა ღმერთო, რომ გაიგონე ჩემი თხოვნა! გუშინ, ძილის წინ ვთხოვე, რომ მოეცა საკმარისი ფული... ასევე, მიწოდდა თეთრი ვარდიც მეყიდა დედისთვის, მაგრამ ღმერთისთვის ეს აღარ მითხოვია. მაგრამ ახლა შემიძლია ვიყიდო ორივე: დედიკოს უყვარს თეთრი ვარდები!

სახლში დაბრუნების შემდეგაც, დიდხანს ვფიქრობდი ამ ბავშვზე. შემდეგ გამახსენდა ორი დღის წინათ ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია მომხდარი ტრაგიკული ფაქტის შესახებ: მძლოდა, რომელიც ნახვამ მდგომარეობაში მართავდა სატვირთო ავტომობილის საჭეს, დაეჯახა დედაშვილს. ბავშვი ადგილზე დაიღუპა, ხოლო დედამისი, როგორც სტატიაში ეწერა, იმყოფებოდა კომაში. ოჯახს უნდა გადაეწყვიტა, გამოერთო თუ არა საუნთქი აპარატი, რადგან აღარ იყო ახალგაზრდა ქალის გადარჩენის შანსი.

ნუთუ ეს ტრაგედია იმ ბიჭუნას ოჯახს ეხება? — არ მასვენებდა ამაზე ფიქრი.

სამი დღის შემდეგ ისევ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც იუწყებოდა კომაში მყოფი ახალგაზრდა ქალის გარდაცვალების შესახებ... ოჯახის წევრების თანხმობით მას გამოურთეს სასუნთქი აპარატი.

დაკარძალვაზე მივედი... ახალგაზრდა ქალის ცხედარი ესვენა სიკვდილის სარეცელზე... ერთ ხელში თოჯინა და ფოტო ჰქონდა, მეორეში კი — თეთრი ვარდი. მე ვგრძნობდი, რომ ჩემი ცხოვრება შეიცვალა... ვერასდროს შევძლებ დავივნიყო პატარა ბიჭის სიყვარული დედისა და დის მიმართ.

მანუჩარ კაჭახიძე

© **წინ, საქართველო!**



# თასების ცვინა პაკეში



**თბილისი, „მისილ მისისი“ სტადიონი.**  
**2014 წლის ევროპის ერთა თასი.**

**საქართველო-რუმინეთი 22:9.**  
**საქართველო (15-9):** კვირიკაშვილი (ზიზიბაძე 57), კაჭარავა, შარიქაძე, მაჩხანელი (კაპიტანი), ხმალაძე, ბეგაძე (ხუციშვილი 70). (1-8) ნარიაშვილი (ფეიქრიშვილი 57), ბრეგვაძე (მამუკაშვილი 52), ზირაქაშვილი (ჩილაჩავა 57), მიქაუტაძე (ნემსაძე 61), კოლეიშვილი (ჩხაიძე 67), გორგოძე, ბასილაია.

**რუმინეთი (15-9):** ფერკუ, ლემნარუ (დინისი 70), გალი, დესკალუ (სურუჯუ 61), დუმიტრუ (მანოლე 52), ვლაიკუ, კალაფეტანუ. (1-8) ლაზარი (ურსაკე 61), რადოი (კაპიტანი 74), იონი (პუნეა 74), სირბუ, პოპორიანი, ლუკაჩი, მაკოვეი, ბურეა.

**მსაჯე:** ლუკ პირსი (ინგლისი) ამ შეხვედრამდე ქართველი და რუმინელი მორაგბეები 17-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. 8-8 მოგება და ერთი ფრე – ასეთი იყო ბალანსი, ამიტომაც ამ პაექრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მოგებათა შედეგის გასაუმჯობესებლად, არამედ იმისთვისაც, რომ გამარჯვებულს ყველაფერი ერგებოდა: ერთა თასი, ანთიმოზ ივერიელის თასი და მსოფლიოს თასზე სასურველ ჯგუფში მოხვედრა.

მატჩი ორმხრივი იერიშებით დაინწყო. უკვე მესამე წუთზე „ბორჯღალოსნებმა“ დერეფანში თამა-

შისას წესი დაარღვიეს და რუმინელმა ფლორინ ვლაიკუმ ზუსტი საჯარიმოთი ანგარიში გახსნა – 3:0. მასპინძლებს წონასწორობის აღდგენა ორი წუთის შემდეგ შეეძლოთ, მაგრამ მერაბ კვირიკაშვილი მიზანს ვერ უწია, თუმცა მალევე სტუმრები ისევ დაჯარიმდნენ მოედნის ცენტრში. იმის მიუხედავად, რომ მანძილი საკმაოდ შორი იყო, კვირიკაშვილის დარტყმა ამჯერად ზუსტი აღმოჩნდა – 3:3. მომდევნო 12 წუთში რუმინელები ფლობდნენ უპირატესობას და ვლაიკუმ კიდევ ორჯერ იყოჩაღა – 9:3. ამის შემდეგ მატჩის სადავეები „ბორჯღალოსნებმა“ იგდეს ხელთ და შესვენებამდე 16:9 დანაწურდნენ. მეორე ტაიმში თამაშის სცენარი არ შეცვლილა – ქართველი მორაგბეები უშეცდომოდ მოქმედებდნენ მოედანზე და პაექრობაც ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანეს – 22:9. ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა ერთა თასი მეშვიდედ მოიპოვა, მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა და 2015 წელს ინგლისში მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის გათამაშებისას იმ ჯგუფში იასპარეზებს, სადაც მე-



**მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი.** საქართველო – 41, რუმინეთი – 38, რუსეთი – 28, ესპანეთი – 15, პორტუგალია – 12, ბელგია – 6 ქულა.

**ექვსი ერის თასი. დასკვნითი ტური.**  
საფრანგეთი – ირლანდია 20:22, უელსი – შოტლანდია 51:3, იტალია – ინგლისი 11:52.

**საბოლოო მდგომარეობა:** ირლანდია, ინგლისი – 8-8, უელსი, საფრანგეთი – 6-6, შოტლანდია – 2, იტალია – 0 ქულა.

**ლეოსო ცინცაძე**  
**თამაშა**  
**მულშაბაგაშვილის ფოტო.**

ტოქეებზე ახალი ზელანდია, არგენტინა, ტონგა და აფრიკის კონტინენტის შესარჩევი ტურნირის გამარჯვებული ეყოლება.

„ბორჯღალოსნებს“ ევროპის ერთა თასი ფირას რუმინელმა პრეზიდენტმა ოქტავიან მორარიუმ, ხოლო ანთიმოზ ივერიელის თასი საქართველოს და რუმინეთის პრემიერ-მინისტრებმა – ირაკლი ლარიბაშვილმა და ვიქტორ პონტამ გადასცეს.

**მოდერნიზმი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

„მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე „ოლ ბლეუსთან“ თამაში საქართველოს ნაკრებისთვის უდიდესი მოვლენაა. ეს შეხვედრა ჩემთვისაც განსაკუთრებული იქნება. არც კი ვიცი, როგორ აღვწერო, რა გრძნობა დამეფულება, ჩემი სამშობლოს წინააღმდეგ საპაექროდ „ბორჯღალოსნებს“ რომ გავიყვან. თუმცა, იქამდე დრო ბევრია. საკმაოდ დიდი სამუშაო გვაქვს გასაწევი და ვეცდებით, მსოფლიოს თასზე უკეთ ვითამაშოთ. ჩვენი მიზანი, ცხადია, ორი თამაშის მოგება და მომდევნო მსოფლიოს თასის გათამაშების საგზურის მოპოვებაა. არგენტინის ნაკრებს შარშან სტუმრად დაუპირისპირდით და, მიმჩნია, რომ ცუდად არ გამოვიყურებოდით. კარგად ვიცნობ ტონგას ნაკრებს და მის მორაგბეებს. ვფიქრობ, რომ მათი დამარცხება შეგვიძლია“.

**ტური.** ბელგია-რუსეთი 20:34, პორტუგალია-ესპანეთი 24:28.

**ერთა თასი.** საქართველო – 22, რუმინეთი – 19, რუსეთი – 14, ესპანეთი – 10, პორტუგალია – 5, ბელგია – 1 ქულა.

© **ქიულ**

## უზიდი მედალი და გუნდური მისი

**ბზსულ უქმეებზე ანტალიამ ჭაბუკ ძიუდოსტოვას ევროპის თასს უმასპინძლა. შეჯიბრებაში ქართველებიც მონაწილეობდნენ. ჩვენი დელეგაციის წევრებმა 7 მედალი დაიმსახურეს – თითო „ოქროს“-„ვერცხლი“ და 5 „ბრინჯაო“. ბიჭებმა განსაკუთრებით 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში იგორჩაღეს:** აქ ქართული ფინალი გაიმართა – ერთმანეთს ივანე ხუბაშვილი და თემურ ნოზაძე დაუპირისპირდნენ. მანამდე ხუბაშვილმა სომეხ არმენ არამაისიანს, აზერბაიჯანელ რაშად დუნიამაღლიევს, რუსებს – ოლეგ გარჩუას და რუსტამ ზაბოლოტის მოუგო, ხოლო ნოზაძემ აზერბაიჯანელი ნაიბ ისმაილოვი, ბულგარელი დენისლავ ივანოვი, რუსები – დამირ მერემოვი და სერგეი პავლოვი ჩამოიშორა გზიდან. გადამწყვეტი პაექრობა ხუბაშვილმა იპონით მოიგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ნოზაძე მეორე ადგილს დაეკავებდა.

„ოქროსთან“ ახლოს იყო ჯამბულ ქურდიანი (60 კგ). ქართველმა მოჭიდავემ ჯგუფში სომეხ სამველ ხაჩატრიანს, აზერბაიჯანელ იბრაჰიმ მამედოვსა და რუსეთელ სევაკ პაპიკიანს მოუგო, ნახევარფინალში ყაზახ ბაიურჯან ზაუნტაევთან პაექრობისას ორივე მეტოქემ 3-3 გაფრთხილება მიიღო, გონგამდე მსაჯებმა ჩვენებურს მეოთხე გაფრთხილებაც მისცეს და ის ორთაბრძოლა, ცხადია, წააგო. სამაგიეროდ, „ბრინჯაოს“-თვის „შეხვედრაში ჩვენებურმა

თურქ უგურ სარიკიას აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა. ასევე, მესამე ადგილებზე გავიდნენ ბექა უდესიანი (66), სიმონ მამარდაშვილი (73), ავთანდილ ტაბატაძე (90) და სალომე მჭედლიშვილი (70). გოგონებში მჭედლიშვილმა პირველივე ორთაბრძოლა მასპინძელ არიფე კუბრა აიღოგდუსთან დათმო, სამაგიეროდ, მეორე სანუგეშოში გამოიჩინა თავი – ოთხი მეტოქე დაამარცხა. ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავეს და-



### European Cup Cadets Antalya 2014

ვით გეჯაძემ (55), დავით კობაძემ (66), დავით იმერლიშვილმა (81), გიორგი გველესიანმა (90), დავით რაზმაძემ ((90), ტატა ყიფშიძემ (44), ეთერ ლიპარტიელიანმა (57) და სატია ჯანაშვილმა (63), მაგრამ დამარცხდნენ და მეხუთე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა მე-5, ბიჭებმა კი მე-3 ადგილი დაიკავეს.

**ლაშა დიღია**

© **ფხვართი**

## აქეთურ-იქითური

**მზს შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელად მალხაზ ფანია დაინიშნა, ეროვნულ ჩემპიონატის ლიდერებმა სამივე საშინაო შესხვედრა წააგეს: „ვიტჯორჯიასთან“ – 0:1, „სიონთან“ – 1:2 და „მეტალურგთან“ – 0:1.**

თითქოს, გასაკვირი ამ ფაქტში არაფერია – კრიზისის ვის არ ჰქონია, მაგრამ მაშინ, როცა უკანასკნელი მარცხის შედეგმა საუკეთესო ექვსეულის ერთ-ერთი საგზურის ბედი განსაზღვრა, ბუნებრივია, „ინჭორბიურს“ კბენა-რივისი სათანადო საბაზი მიეცა და აქა-იქ გაისმა კიდევ:

ასეთი მონაგარით ჩაებმება: „დინამო“ – 48, „ზესტაფონი“ – 40, „ჩისურა“ – 38, „გურია“ – „სიონი“, „მეტალურგი“ – 33-3 ქულა.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ – „ლივერპული“ 0:3, „ასტონ ვილა“ – „ჩელსი“ 1:0, „ტოტენჰემი“ – „არსენალი“ 0:1.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „ლევერკუზენი“ 2:1, „ბორუსია“ – „გლადახი“ 1:2, „აუგსბურგი“ – „შალკე“ 1:2.

**იტალია.** „ჯენოა“ – „იუვენტუსი“ 0:1, „მილანი“ – „პარმა“ 2:4, „ვერონა“ – „ინტერი“ 0:1.



„თეთრ-ლურჯებმა“ ამასწინანდელი სათასო ქველმოქმედებისთვის მეტოქეს ვალი დაუბრუნესო. დაე, ილაპარაკონ – ხომ გსმენიათ, ენას ძვალე არა აქვს. რაც შეეხება საუკეთესო ექვსეულს, იგი მეორე ეტაპზე 23 მარტს

**მსაგანთი.** „მალაგა“ – „რეალი“ 0:1, „ატლეტიკო“ – „ესპანოლი“ 1:0, „ბარსელონა“ – „ოსასუნა“ 7:0.

**საფრანგეთი.** „პარი სენ-ჟერმენი“ – „სენტ-ეტენი“ 2:0.

**გიორგი შოთაძე**

© **„თეთრი ცირკი“**

## აგსტრის სახელმწიფო



**სამთო-მთისილამუშაობა სეზონი აგსტრის ქალთა, ისე ვაჟთა შორის სოჭის ამასწინანდელი ოლიმპიადის გმირები ანა ფენინგერი (პირველად) და მარსელ პირშერი (ზედიზედ მესამედ) დაეფუძნენ.**

აღსანიშნავია, რომ ალპური სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ცალკეულ ეტაპებზე მხოლოდ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ ისე სტაბილურად იასპარეზეს, რომ ჩასათვლელი ქულები რბოლების უმეტესობაში მოაგროვეს, რამაც განაპირობა კიდევ მათი აღზევება.

დავქენთ, რომ 24 წლის ფენინგერს წარმატებაში ხელი მისი სახელოვანი გერმანელი კონკურენტის მარია რიშის ტრავმამ შეუწყო. ხოლო 27 წლის პირშერის მთავარმა ნორვეგიელმა მეტოქემ აქსელ-ლუნდ სვინდალმა ბრძოლის ფინიში ჩააგდო.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სანთელი

ენერგეტიკის ღვაწლმოსილი მუშაკი

ვენერა (ნორა) გენგაშვილი-სასკრიალაშვილის ხსოვნას



გარდაიცვალა ენერგეტიკის ღვაწლმოსილი მუშაკი, „საქმთავარენერგოს“ უფროსი ქიმიკოსი, კდემამოსილი და უაღრესად კეთილშობილი ქალბატონი, მეტად საპასუხისმგებლო ქვეგანყოფის – ქიმიური სამსახურის მაღალი კლასის სპეციალისტი, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრი, შრომის ვეტერანი ვენერა (ნორა) ილიას ასული გენგაშვილი-სასკრიალაშვილისა.

ვენერა (ნორა) გენგაშვილი-სასკრიალაშვილისა დაიბადა 1931 წლის 1 იანვარს საგარეჯოს რაიონის სოფელ სარტიქალაში. სართიქალის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც 1956 წელს წარმატებით ამთავრებს. მუშაობა განაწილებით მოუწია სართიქალის საშუალო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგად. 1959 წლიდან, ქალბატონმა ნორამ (როგორც მას მეგობრები და ახლობლები უწოდებდნენ ხოლმე) და გამოჩენილმა ენერგეტიკოსმა ბატონმა რევაზ ცაცკრიალაშვილმა გადაწყვიტეს ერთობლივი ოჯახის შექმნა და ამ დღიდან იწყება ქალბატონ ნორას დაახლოება ენერგეტიკასთან, და ქმართან ერთად ჩითახევესში, ხრამშესებში თუ სხვა ენერგობიექტებზე ხშირად ყოფნა და მუშაობა.

1965 წლიდან ქალბატონი ნორა მუშაობას იწყებს „საქმთავარენერგოს“ ჯერ ცენტრალური ლაბორატორიის უფროს ინჟინერ-ქიმიკოსად, ხოლო შემდეგ აწინაურდებიან „საქმთავარენერგოს“ ქიმიური სამსახურის წამყვან ქიმიკოსად, სადაც მან 35 წელზე მეტი იმსახურა და თავი გამოიჩინა, როგორც მაღალი კლასის სპეციალისტმა – მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და მადლობა.

ვემშვიდობებით შესანიშნავ ადამიანს, კარგ მეუღლეს, დედას, ბებიას, და საერთოდ კეთილ ქალბატონს – მშვიდობით ჩვენო ნორა, უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი კეთილი სული.

საპარამელოს პენიონატის სამინისტრო; საქართველოს პენიონატის მუშაკთა პროფესიული კავშირი; საქართველოს პენიონატის ვებპროექტი

ხსოვნა

ბორის ბოჭორიშვილი

წავიდა მარადიულ სასუფეველში შესანიშნავი პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი, კავშირგაბმულობის დარგის გამორჩეული სპეციალისტი, დამსახურებული მუშაკი, აღიარებული ხელმძღვანელი ბორის ბოჭორიშვილი. ის გახლდათ კეთილშობილი, თავმდაბალი, პრინციპული, ჭეშმარიტად პროფესიონალი. საუცხოო მეგობარი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული და პატიოტი.



ბორის ბოჭორიშვილი დაიბადა 1930 წლის 27 მაისს. სრულიად ახალგაზრდად მუშაობა დაიწყო აზერბაიჯანის ერთ-ერთ კავშირგაბმულობის განყოფილებაში. 1952 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ელექტროკავშირგაბმულობის ტექნიკუმი, 1958 წელს – დაჩქარებული წესით – ოდესის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო აფხაზეთში სოხუმის საქალაქო სატელეფონო სადგურის ინჟინრად, სადაც სულ მალე გამოავლინა ხელმძღვანელისთვის დამახასიათებელი ნიჭი და უნარი და 1962 წელს დაინიშნა აფხაზეთის კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსად. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით აშენდა ადმინისტრაციული შენობები გაგრაში, გუდაუთაში, ტყვარჩელში, გალში, ოჩამჩირეში, ტელეფონიზებული და რადიოფიციური იქნა დასახლებული პუნქტების 90 პროცენტი. გაკეთებული დიდი და რთული საქმეები კარგად დაინახა ქვეყნის ხელმძღვანელობამ და ბორისი 1969 წელს დააწინაურეს საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილედ, სადაც იმუშავა 1992 წლამდე. ხელმძღვანელობდა სისტემის ძირითად ტექნიკურ დარგებს.

ბორის ახალი მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ქვეყნისა და საკავშირო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსთან. იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას, დარგის წინაშე მდგარი პრობლემების დადებითად გადაწყვეტას, მრავალათასიანი კოლექტივის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბორისმა ათობით წლის მანძილზე თესა სიკეთე, ადამიანობა, სიყვარული და პატივისცემა. ამიტომაც იგი ერთნაირად უყვარდა დიდასა და პატარას. არავინ იგნებებს მის მიერ გაკეთებულ უამრავ კეთილ საქმეს. მისი ნაყოფიერი საქმიანობა უწყურადღებოდ არ დარჩენია ქვეყნის ხელმძღვანელებსა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; 1990 წელს მიენიჭა დამსახურებული ინჟინრის წოდება. დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით. მათ შორის, საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებით. წლების მანძილზე იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; აირჩია საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსად.

მან შექმნა და ღირსეულად გაუძღვა სახელოვან და ტრადიციულ დიდ ოჯახს. დღეს მას დასტირიან მეუღლე, შვილები და შვილიშვილები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს სამუდამო სასუფეველში ბორის ბოჭორიშვილის სული. იგი დაუვიწყარი იქნება მისი ახლობლებისა და მეგობრებისათვის.

უახლოესი მეგობრები: ზვიადი ივანიძე, ავთანდილ იაშვილი, გიორგი სულაბაძე, რამიზ გვილასიანი, ნოე (ნოდარ) ჯიძია, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ლომიძე, თეიმურაზ ბუცხრაძე, ჯიშკა ვაშაძე, გურამ ხმალაძე, აპოლონი გორგოლაძე, ივლიტა საგადალაშვილი, გენადი შაროია, შოთა კოლეიშვილი, ნუზარ კვიციანი, აზირან შალვაშვილი, ნოდარ დიმიტი, რეზო ნიკოლაიშვილი, გონდო ბუსულაიშვილი, გურამ სინარული, გურამ გომიშვილი.

ხსოვნა

ნინო უთურაშვილი



ძველი თაობის ჟურნალისტებს კარგად გვახსოვს ქალბატონი ნინო უთურაშვილი, უზუცესი ქართველი ჟურნალისტი ქალი, გაზეთების „კომუნისტისა“ და „სახალხო განათლების“ დაფასებული თანამშრომელი, რომელიც თავისი შესაშური გულსმბიერებით, ნიჭითა და უნარით მაგალითს აძლევდა ახალგაზრდა თანამშრომლებს. ისინი მას დიდად აფასებდნენ; უპირველესად, აფასებდნენ მის შემოქმედებას, მანდილოსნისთვის უჩვეულო შემართებას, პრინციპულობას. მის წერილებს, ინტერვიუებს კითხულობდნენ ინტერესით, დაფიქრებით. ფეხით ჰქონდა მოვლილი საქართველო, იცნობდა საქართველოს და მთელი საქართველო იცნობდა მას. 96 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან, ქვეყნისა და თავისი ოჯახის წინაშე ვალმოსდელი. მისი სახელი ნათელ ხატებად დარჩება არა მხოლოდ თავისი ქალიშვილებისა და შვილიშვილების, არამედ მადლიერი მკითხველის გულში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

გაგათ „კომუნისტისა“ და „სახალხო განათლების“ ყოფილი მუშაკები

მშვიდობით, კლარა!



ანგარიშს უწევდა მარტო ჩვენთან კი არა, მოსკოვშიც, დღეს გამსვენებული, დამტკირებელი არა ჰყავს.

ისიც წავიდა... ისიც დაწყნარდა – ბოტკარი, ხან კაპასი, ხან მომფერებელი, სულ „თავისი“ სიმართლის მიძინელი, სულ ვიღაცაზე „გასული“, თავისი სამეგობროს წარსულისა და დღევანდელი ღვთის გულშემატკივარი, აფხაზეთის ტრაგედიის გამო მოქვიტი... პირდაპირ ამბობდა სათქმელს, უამრავი მტერი დაიგროვა ამის გამო, სხვადასხვა გაზეთი რომ არ ეყო ბოლომდე სათქმელად, საკუთარი გაზეთი გამოსცა – „თუთარჩელა“. წერდა და ბეჭდვდა, რაც როგორც მიაჩნდა... რა არის ნუთისოფელი, – ქალს, დამსახურებულ ჟურნალისტს, ქვეყანა რომ

კოლეგები

თბილისში, ბეკინის ქ. 16-ის მე-3 სადარბაზოს მცხოვრებნი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩინებული პიროვნება, ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე ფრიად დამსახურებული ადამიანი, კეთილი მეგობარი და მეზობელი ბორის შალვას ძე ბოჭორიშვილი და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის დამწუხრებულ ოჯახს.



„კუს ტბის“ საზოგადოების წევრები მწუხარებით იუწყებიან

ქანა მამასარიას გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

ვიტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, მარინე ილაშვილი, ლია ლომიძე, ნათელა ლალიძე, მადონა მგელაძე, მანანა, მარინა ზოდელაძე, ლამარა გაგუა, დალი ბოჯგუა, ბელა მაყაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან კოლეგისა და უახლოესი მეგობრის მია ჩიქოვანის შვილის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, უკეთილშობილესი პიროვნების

თამარ ქუთათელაძის გარდაცვალებას და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახსა და ნათესავებს. პანაშვიდი 19 III, 17 სთ. გამოსვენება 20 III, 14 სთ. საბურთალოს წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან (ჩიქოვანის, ყოფილი ხილიანის, ქუჩაზე მდებარე ყოფილი ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორია). დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

ვილენ ალაფიძისა და ლამარა გაგუას ოჯახი დიდი მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის მია ჩიქოვანის ვაჟიშვილის თამარ ქუთათელაძის გარდაცვალებას და თანადგომას უცხადებს ოჯახს, ნათესავებსა და უახლოეს ნაცნობ-მეგობრებს.

მარინე, ფერია ილაშვილები, არმაზ, თეა, სოფიკო პაიჭაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თამარ ქუთათელაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აზინდი

მოვლი და წვიმა ორი დღე გაგრძელდა 19 მარტამდე საქართველოში წვიმიანი და ცვალებადი ამინდები იქნება.

19 მარტამდე დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო ტემპერატურა დღისით 13 გრადუსი, ღამით კი 4-9 გრადუსი იქნება. მთაში ღამით -2 +3; დღისით -7 -12 გრადუსი; მაღალმთაში ღამით -6-; დღისით 3-8 გრადუსი.

ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოში დღისით ჰაერის საშუალო ტემპერატურა 16 გრადუსი, ღამით 2-7 გრადუსია მოსალოდნელი; მთაში ღამით -5;0; მაღალმთაში ღამით -10;-5

19 მარტიდან 24 მარტის ჩათვლით, საქართველოში გამოიძარება და დათბება. დასავლეთ საქართველოში დღისით საშუალო ტემპერატურა 24 გრადუსი იქნება; ღამით 12 გრადუსი;

აღმოსავლეთ საქართველოში ღამით 9 გრადუსია მოსალოდნელი; დღისით 20-22 გრადუსი; მთაში – დღისით 20 გრადუსი; მაღალ მთაში – დღისით 15 გრადუსი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ჩვენი კარგადიანი

პროდუქტები მამაკაცებისთვის

მშობიარეობის, ნარინჯისფერი და წითელი ხილი და ბოსტნეული ზრდის მამაკაცის ფერტილურობას (ორგანიზმის უნარს, წარმოქმნას შთამომავლობა - რედ) დაახლოებით 10 პროცენტით, იტყობინებთ ამერიკელი მეცნიერები. მათში არსებული კარტინოიდები აუმჯობესებენ სპერმატოზოიდების მოძრაობას, ლიპოპროდუქტივი კი (ბალანსოვანი მცენარე ერთგვარი - რედ) - ხელს უწყობს მათ სწორ ჩამოყალიბებას.

კატასტროფის მათხრობები

მამაკაცების გულის მოულოდნელი გაჩერება შეიძლება ვინანსწარმეტყველოთ, აჩვენა ამერიკელი მეცნიერთა გამოკვლევა. სიმპტომები, რომლებიც გვაფრთხილებენ გულის მოქმედების პრობლემების შესახებ, მამრობითი სქესის პაციენტებს უვლინდებათ კატასტროფამდე უკვე ერთი თვით ადრე.

ან გონებას კარგავდა. სიმპტომ-წინასწარმეტყველების დაახლოებით 80 პროცენტი აღინიშნებოდა გულის მოულოდნელ გაჩერებამდე ოთხი კვირიდან ერთ საათამდე ინტერვალში. თუ თქვენ განიცდით ასეთ სიმპტომებს, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, გვირჩევეთ მეცნიერები.

განმარტების შემდეგ



მამაკაცებს განქორწინების შემდეგ მეტი მიდრეკილება აქვთ დეპრესიისკენ, ვიდრე ქალებს, მიაჩნიათ ამერიკელი მეცნიერები. გულის დაზარალებული, ჰიპერტონია, ინსულტები, დეპრესიები, სუიციდები, ალკოჰოლიზმი - აი იმ რისკების ჩამონათვალი, რასაც აწვდებიან განქორწინებული მამაკაცები.

მავალი სისხე

ბრიტის დროს ტემპერატურის დაწვეას ინფექციის დამატებით გაგრძელებასთან და ლეტალური შედეგების რაოდენობის გაზრდასთან მივყავართ, ამბობენ კანადელი მეცნიერები.

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაპიტალიზმი და გლობალიზაცია



„რუსეთი ჩვენი მისიაა“ - დარწმუნებული ტრადიციონალისტი აკაკი ასათიანი, ერთხელ და სამუდამოდ, ჩვენც, უკრაინელებმაც და ყველა სხვა ხალხმაც, ვინც ამ მდგომარეობაშია, თავი უნდა დაანებოს ილუზიებს, რომ რაღაცა მოხერხდება, რომ ჩვენი გულისთვის ვილა-ცა დაინყვებს მესამე მსოფლიო ომს. აგერ ბუდაპეშტის ხელშეკრულება და გარანტიები ჰქონდა უკრაინას და მათ შორის ერთ-ერთი რუსეთი იყო, ვინც ხელს აწერდა, გარანტიებით, და რა გარანტიებია? არანაირი.


„ახალი თარგამ“ - ახლა თავის მოტყუებისა და ილუზიების დრო არ არის. ყირიმში ხალხი მართლა თვლიდა თავს რუსეთის განუყოფელ ნაწილად. თუმცა, ამით არ მთავრდება ეს ყველაფერი და ამით მხოლოდ იწყება. ჩვენც და სხვებმაც უნდა იფიქრონ მომავალში უფრო რეალისტურ მიდგომაზე. ყველაზე ცუდი ის არის, რომ უკრაინის სათავეშიც ისეთი ხალხი მოექცა, რომლებიც ან ავანტიურისტები არიან, ან იდიოტები.

ინტერვიუ ზურაბ რატიანთან - ისტორიკოსი და პუბლიცისტი ზურაბ რატიანი გაშვებულია ბევრ რამეზე: „იცით, რა ამოიღეს ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიიდან“? ამოიღეს მონათლება ტერმინი, სადაც ჯავახიშვილი წერს, რომ „თამარ მეფის დროს საქართველო სამეფოს სახელმწიფო შემოსავალი ბევრად მეტი იყო, ვიდრე მაშინდელი ირანის, ერაყის, თურქეთის, საფრანგეთის შემოსავალი...“ „რომ დაუჩინებიათ, რა გააკეთა სტალინმა! სტალინმა ის გააკეთა, რომ დღეს მე და თქვენ ქართულად ვლაპარაკობთ!“

რეკლამა: 299-62-77; 599 32-85-76. „საქართველოს რესპუბლიკაში“

კალრი

მკურნალი წინადადება



გულის სისხლძარღვთა დაზარალებას ან დიაბეტს უჩივიან? მაშინ თქვენთვის მისწრაფა სპეციალური, გაზრდილი სამკურნალო ფეხსაცმის მქონე, სხვებისგან მაღალი ხარისხით გამოორჩეული თურქული წარმოების წინადადება. სურვილის შემთხვევაში მიიღება შეკვეთები მათი ვერცხლის ძაფით მოქსოვილი ნიშნულზე (სათანადო ფასითა სხვაობით).

ცინცხალი ანაკლოზი

ორი ლამაზი მანქანით მიქრის. - გაზს დაუკელი, მეშინია - ეუბნება მძღოლს ლამაზი მის გვერდით მჯდომი. - შენც ჩემსავით დახუჭე თვალები და არ შეგშინდება!

წუ იჩქარებთ ქალისთვის ხელისა და გულის შეთავაზებას, რომ აიღოს? მეერ გამოდებით წამოგაძახებს: „ოჰ, შე უკულო!“ „ოჰ, შე უხელო!“



საქართველოს რესპუბლიკის გამოცემები. მთავარი რედაქტორი ალექსანდრე შიშკაშვილი. მთავარი რედაქტორი ალექსანდრე შიშკაშვილი. მთავარი რედაქტორი ალექსანდრე შიშკაშვილი.